ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

პარასკევი, 13 იანვარი, 2017

№10 (7245)

ფასი: 50 თეთრი

**მთავრობამ მაღალპროცენტიანი ონლაინსესხების ბიზნესის არსებობა ეჭქვეშ დააყენა**



გვ.5 გვ.6

**როგორ მოხდება სესხების გალარება**

**12 იანვრიდან**

**კულინარია ჰობად**




ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

# უგულავამ სააკაშვილი საბოლოოდ უარყო: „მიშა ჩემთვის დამთავრდა“





გვ.2

სააკაშვილი: „დამთავრდა ლუზერების მმართველობა“

## ნიკა მელია: „ივანიშვილის გეგმა ჩავარდა“



## სოსო ცისკარიშვილი: „კალაძე, შესაძლოა, ენერგეტიკის მინისტრი აღარ იყოს“



გვ.3



## „ნაცმოძრაობაში დადგმული სცენარი თამაშდება“



გვ.4

მირიან მირიანაშვილი: „მზადდება გეგმა, რომლითაც „ქართულ ოცნებას“ დასავლეთთან ურთიერთობას გაუფუჭებენ“

## ტრამპი საქართველოს დახმარებას გააგრძელებს?



გვ.4

## გურამ რჩეულიშვილი პროკურორებს: „ამ საქმეს სიძულვილით ნუ უდგებით“



გვ.7

## „გაზპრომთან ჩახუტება დასავლეთს დაგვაშორებს“



გვ.5



ზაალ კასრელიშვილი: „ევროპაში საქართველოს ხელისუფლებას ისედაც ეჭვის თვალით უყურებენ“

ISSN 1987-9385
9 771987 938006

## გაზპრომთან ახალი ხელშეკრულება ნამგებიანია



გვ.6



გაზის მაგივრად ფულს თუ მივიღებთ, ამაში ანექსია და ოკუპაცია ნამდვილად არ არის. რეალური საფრთხე სულ სხვაგან არის

## საქართველოში მიწისძვრა მოხდა



გვ.5

# უგულავამ სააკაშვილი საბოლოოდ უარყო: „მიშა ჩემთვის დამთავრდა“

შორენა მარსაგიშვილი

ნაციონალური მოძრაობა დაიშალა. პარტია 21-მა დეპუტატმა დატოვა. წამოსულები ახალ პარტიაში, „ევროპულ საქართველოში“ გაწევრიანდნენ. პარტიის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე იქნება, რომელიც ნაციონალურ მოძრაობაში ნინო ბურჯანაძემ მიიყვანა.

განცხადება ნაცმოძრაობიდან ერთი გუნდის გამოყოფის შესახებ თბილისის ყოფილმა მერმა გიგი უგულავამ გააკეთა.

ნაცმოძრაობის მიტოვების გარდა, უგულავამ სააკაშვილიც უარყო და განაცხადა, რომ მისთვის ის დამთავრებულია.

ბოროტი ხმები ამბობენ, რომ სააკაშვილი ნამერალისთვის რამდენიმე წლის წინ დასრულდა. 2010 წელს ბალტიისპირეთში მყოფმა უგულავამ განაცხადა, რომ ქართველებს პრეზიდენტად გაუმჯობესებული მიშა სურდათ. მაშინ ნაციონალების კულუარებში ამბობდნენ, რომ ის გაუმჯობესებულ მიშაში საკუთარ თავს ხედავდა.

ეს ამბავი მაშინ რაღაცნაირად გადაიტანეს. ამაში პოლიტიკაში შემოჭრილი ივანიშვილიც დაეხმარათ. იმავე ივანიშვილის წყალობით კი ისინი ერთმანეთის მტრები გახდნენ.





საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე უგულავამ განაცხადა, რომ სააკაშვილი თავის ტკივილი გახდა.

მისი თქმით, ხალხის გადაწყვეტილებით, ნაციონალური მოძრაობა ჩამოვარდა კვარცხლბეკიდან, 2012 წლის შემდეგ გუნდმა ერთად გადაწყვიტა მძიმე გზის გავლა, მაგრამ ახლა მთავარია, ხალხმა იგრძნოს სიკეთე პარტიისგან და მიიღოს ის, რასაც ამ პარტიის ლიდერები ხალხს სთავაზობდნენ.

უგულავა იმასაც ამბობს, რომ ნაციონალური მოძრაობა სააკაშვილის შექმნილი არ არის.

– ეს პარტია შექმნა ბევრმა თავზეხელაღებულმა ადამიანმა, იმიტომ, რომ დღეს ებრძოლო ივანიშვილს, რომელსაც 5 მილიარდი აქვს და მთელი სახელმწიფო აპარატი უზის ჯიბეში, უნდა იყო თავზეხელაღებული და ამიტომ ეს სიტყვა არ უნდა იხმარებოდეს კნინობითი ფორმით. დღეს საქართველოს პრობლემა არის ბიძინა ივანიშვილი და მისი არაფორმალური მმართველობა. მიხეილ სააკაშვილი დღეს არის მხოლოდ საქართველოს პრობლემა.

მიხეილ სააკაშვილი თითოეული ჩვენგანისთვის არის ადამიანური ტკივილი, მაგრამ სააკაშვილი მას შემდეგ, რაც ლელა ქებურიას, ეს ის ადამიანია, რომელიც კორცხელში მუტრუკებს გადაეფარა, დაუწყებს „პრავების კაჩავს“, ეს ადამიანი უკვე აღარ არის ლიდერობის ღირსი, ეს ადამიანი აღარ ასხივებს ლიდერობას. მე ამას ვამბობ გულისტკივილით, იმიტომ, რომ ეს აღარ არის სააკაშვილი, რომელიც ხალხს აერთიანებდა 2002 წელს, – განაცხადა გიგი უგულავამ.

გიგი უგულავა ფილოსოფიაშიც გადავარდა და განაცხადა, რომ პოლიტიკოსები არიან მანქანები, რომლებიც ემსახურებიან ადამიანებს და, როდესაც ის დაძველდება და ველარ ემსახურება ხალხს, ჯართში უნდა გადააგდო.

– ჩვენ პოლიტიკოსები ყველანი ვართ მანქანებივით, რომლებიც გემსახურებით თქვენ. როდესაც მანქანა დაკარგავს ფუნქციას, მაგრამ ის მანქანა კიდევ გიყვარს, შეიძლება, ის დააყენო და მოუარო, როგორც ანტიკვარს და შემდეგ ოჯახის წევრებმა შაბათ-კვირას გაასეირნო, მაგრამ, თუ ეს მანქანა ანტიკვარად არ იქცა და თუ ეს მანქანა ისევ გაწუხებს, მაშინ მეორე გადაწყვეტილება შვილებმა უნდა მიიღონ. ეს მანქანა შეიძლება მოისროლო ჯართში.

## სააკაშვილი: „დამთავრდა ლუზერების მმართველობა“

ყველა პოლიტიკოსი ვართ ამ არჩევანის წინაშე, ჩვენ ჩვენი ქმედებებით ვაგებთ პასუხს იმ სიკეთეზე, რაც ჩვენს ხალხს შეიძლება მოვუტანოთ და იმ არასწორ ქმედებებზე, რომელიც ჩვენს ხალხს და ჩვენს ქვეყანას შეიძლება მოვუტანოთ, – განაცხადა გიგი უგულავამ.

მან ხაზი გაუსვა, რომ ნაციონალური მოძრაობა არის პარტია, რომლის გამოც ის ციხეში იჯდა.

– არავის არაფერს ვამადლი, მე მივიღე ეს გამოწვევა და გადავწყვიტე, წავსულიყავი და მიმეღო ის დარტყმა, რომელიც ამ თავგზააბნეული რეჟიმიდან მოდიოდა, – აღნიშნა უგულავამ.

მან პარტიის მხარდამჭერებს საგანგებოდ მიმართა და განაცხადა, რომ 1%-ით მაინც რომ სჯეროდეს, სააკაშვილს კიდევ შეუძლია ივანიშვილის წინააღმდეგ ბრძოლა, 99% კითხვებს გვერდით გადადებდა.

საგანგებო ბრიფინგზე უგულავას ერთი იაღლიში მოუვიდა. თავში განაცხადა, რომ ყოფილ პრეზიდენტის ნაცმოძრაობა არ შეუქმნია, დასასრულს კი თქვა, მიშა მის მიერ შექმნილ პარტიას ანგრევსო.

– ამ პარტიის დანგრევაზე პასუხისმგებელი არის ერთადერთი ადამიანი, ის ადამიანი, რომელმაც ეს პარტია შექმნა, – თქვა მიშას უარმყოფელმა.

კიდევ ერთი განდგომილი გიგა ბოკერია კი ამბობს, რომ ყველაფერი ისე არ იქნება, როგორც ეს ბელადს უნდა. ბელადში ის ექსპრეზიდენტს გულისხმობს.

მისივე განმარტებით, ახლა მთავარი ორი ძირითადი პრობლემის გადაჭრაა.

– ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას ორი ძირითადი ამოცანა: ერთია დემოკრატიული გზით ბიძინა ივანიშვილის რეჟიმის დემონტაჟი, და მეორე – ამ გამარჯვების შემდეგ ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგომი ძალიან სერიოზული პრობლემების გამკლავება, – განაცხადა ბოკერიამ.

დეპუტატის თქმით, ამ ამოცანების გადაწყვეტას სჭირდება კომპეტენტური გუნდი.

– ამ ამოცანების გადაჭრას სჭირდება გუნდი, რომელსაც ესმის, რომ ხელისუფლება, სახელმწიფო, უნდა იყოს ძლიერი და ეფექტური – ქვეყანა გარე მტრისგან დაიცვას, კრიმინალს თავი არააწევინოს, მოქალაქე მოძალადისგან დაიცვას.

ამ ამოცანების გადაჭრას სჭირდება გუნდი, რომელსაც ესმის, რომ ბელადი რასაც გიბრძანებს ან რაც მისი კაპრიზია, ის კი არ არის მთავარი, როგორც ეს დღეს, სამწუხაროდ, მიხეილ სააკაშვილსა და მის დღევანდელ გარემოცვას ჰგონია, არამედ საკუთარი პოლიტიკური პრინციპები და ის, რაც ქვეყნისთვის მიგაჩნიათ სწორი – ეგ არის მთავარი, – აღნიშნა ბოკერიამ.

* * *

„ევროპული საქართველოს“ ანუ განდგომილი ნაციონალების თავმჯდომარეობისთვის განწირულმა დავით ბაქრაძემ მომხრეებს იმედიანად ყოფნისკენ მოუწოდა.

მისი თქმით, უთანხმოებები დღეიდან არის წარსული, ხოლო განდგომილთა გუნდი იწყებს მომავლის შენებას.

მას არ მოსწონს შეფასება, რომ ისინი პარტიას ტოვებენ, ამბობს, რომ პარტია იყოფა და ამის გამო გული სტკივა, ამასთან, აცხადებს, რომ ივანიშვილის რეჟიმთან ბრძოლაში ყოფილი თანაპარტიელების მოკავშირეები იქნებიან.

– ეს ადამიანები და ეს გუნდი იყო სახე, ხერხემალი და საყრდენი ნაციონალური მოძრაობის, ამიტომ, რა თქმა უნდა, არასწორია ნებისმიერი შეფასება, რომ ხდება გუნდის გასვლა. სინამდვილეში, დღეს ხდება ნაციონალური მოძრაობის გაყოფა.

ჩემთვის ეს არის ემოციურად ძალიან მძიმე განცხადება, იმიტომ, რომ მე ვიყავი ამ გუნდში მაშინ, როდესაც მას ყველაზე მეტად უჭირდა და გუნდის ყოფნა-არყოფნა დამოკიდებული იყო სწორედ ამ ადამიანების სიმტკიცესა და ერთად დგომაზე, – განაცხადა ბაქრაძემ.



განდგომილ თანამოაზრეებს მოგვიანებით შეუერთდა გივი თარგამაძეც. პარლამენტს მიღმა დარჩენილი და კინაღამაფეთქებული პოლიტიკოსი ამბობს, რომ ისინი ბრძოლის ახალ ეტაპზე გადადიან. თარგამაძე პირობას დებს, რომ ყოფილი თანაპარტიელების კომენტარებზე კომენტარებს არ გააკეთებს.

**გივი თარგამაძე:**

– ქართულ პოლიტიკაში ჩემი 28-წლიანი მონაწილეობის ერთი, უდავოდ ყველაზე წარმატებული, საინტერესო ეტაპი დასრულდა. ყველაფერი არც ამით დაწყებულა და არც ამით დამთავრდება. მიშა მისი ჩამოსვლისთანავე გავიცანი. სულ სხვა მიშა. მასთან ერთად ბევრი რამ გავაკეთე. დღევანდელი მიშა არც წარმომედგინა ოდესმე. რეალობა წარმოდგენაზე ბევრად დაუნდობელი გამოდგა. გუნდი, რომელთან ერთადაც ვარ პოლიტიკაში 25 წელიწადია, არ მიმიტოვებია და არც მივატოვებ, ვინაიდან ჩვენთან პრინციპებსაც ვცემთ პატივს, თავისუფალ აზრსაც და ერთმანეთსაც.

დღევანდელი დღე სევდის მომგვრელიცაა და სასიამოვნოდ ამაღელვებელიც. სიახლე ყოველთვის სასიამოვნოა. ჩვენი გუნდი საზოგადოებას იმედს არ გაუმტყუნებს. არ მაინტერესებს გაბოროტებულთა კომენტარები. დღევანდელი მიშასიც. მაინტერესებს მომავალი და მუხლჩაუხრელი შრომა ამ მომავლისთვის. უკანდახევა არ გვჩვევია. მჯერა, ყველაფერი იქნება კარგად.

გაგრძელება მე-3 გვერდზე



ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქიქიშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სოსო ცისკარიშვილი: „კალაძე, შესაძლოა, ენერგეტიკის მინისტრი აღარ იყოს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **სოსო ცისკარიშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძის „გაზპრომთან“ დადებულ ახალ ხელშეკრულებაზე საუბრობს.

***— ბატონო სოსო, „გაზპრომთან“ ახალ ხელშეკრულებს როგორ აფასებთ? ექსპერტების ნაწილი მას კაპიტულანტურ ხელშეკრულებას უწოდებს, ნაწილი კალაძის გადადგომასაც ითხოვს. თუ აქამდე არსებული ხელშეკრულების პირობების შენარჩუნებას ვახერხებდით, ახლა რა მოხდა?***

— 2015 წლის დამდეგს კარგად გვახსოვს, თუ რა ხდებოდა ამ საკითხზე. როგორც მოგვიანებით გაირკვა, 2 თუ 3 შეხვედრა მინისტრ კალაძეს „გაზპრომის“ ხელმძღვანელებთან სრულიად გასაიდუმლოებულად ჰქონია გამართული ხან ჟენევაში და ხან — მილანში. მაშინ კალაძე თავგამოდებით იცავდა იმ იდეას, რომ ბუნებრივი აირის 10%-ის საფასურად, რომელიც ჩვენი გაზსადენის მეშვეობით რუსეთიდან სომხეთში მიედინებოდა, მიგვეღო არა ფული, არამედ გაზი.

***— რატომ დავთანხმდით დღეს ფულად ანაზღაურებას?!***





— დიახ, საინტერესოა, რატომ დღეს? ეს საკითხი თითქოსდა 2015 წლის მოვლენების შემდეგ ამოწურული უნდა ყოფილიყო, რადგან ენერგეტიკის მინისტრი, გვახსოვს, როგორ კმაყოფილი იყო საბოლოო შედეგით. დღეს სრულიად კმაყოფილია რუსეთის ხელისუფლება მიღებული შედეგით, ჩვენ კი რასაც აქამდე ვიცავდით, ბოლომდე ვერ დავიცავით.

***— ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის ფუნქციას ჩრდილი მიადგებოდა, ასევე ურთიერთობა გართულდებოდა სომხეთთან. რამდენად რეალურია ეს არგუმენტები?***

— არავითარ შემთხვევაში საქართველოს ვერც ჩამოერთმევა და ვერც ჩრდილი მიადგება მისი, როგორც სატრანზიტო ქვეყნის, როლს. ეს განცხადება თუ არგუმენტი გათვლილია იმ საზოგადოებაზე, რომელიც საქმეში არ არის ჩახედული და ვერ ერკვევა. რუსეთი ნამდვილად არ დაკარგავდა ჩვენი გაზსადენის მიმართ ინტერესს. ეს წარმოუდგენელია, რაც აუცილებლად კარგად უნდა გვცოდნოდა.

2009 თუ 2010 წლებში ნაციონალური მოძრაობა, როდესაც ხელისუფლებაში იყო, მზად იყო, საერთოდ გაზსადენი გაეყიდა და მისი შეძენის მსურველი რუსეთი იყო. მაშინ ამერიკის შეერთებული შტატები ჩაერთო პროცესში, გაზსადენის რეაბილიტაციისთვის თანხები გაიღო და ეს გარიგება არ შედგა.

***— ბერკეტი დავკარგეთ?***

— ასეთი კმაყოფილი არცერთი შეხვედრიდან არ დაბრუნებულა ბატონი კალაძე. აეროპორტშივე გაგვამხნევა, რომ ძალიან საინტერესო წინადადება აქვს თურმე გაზპრომს, რაც, პრაქტიკულად, აღმოჩნდა იგივე, რასაც თავადაც 2015 წელს ეწინააღმდეგებოდა და იცავდა არსებული ხელშეკრულების პირობებს. ჩემთვის კითხვად რჩება, რატომ მოხდა სხვადასხვა რეჟიმზე შეთანხმება.

***— სხვადასხვა პირობაზე შეთანხმება რეალურად რა მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული?***

— ვერ გეტყვით, რადგან ამოუხსნელი რჩება, რატომ? შეიძლება, 2017 წლისთვის კალაძე აღარ იყოს კვლავ ენერგეტიკის მინისტრი და მას არ მოუხდეს ზრუნვა ქვეყნის ენერგომომარაგებაზე.

## ჯონ ქერი: „როდესაც რუსეთი სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში შეიჭრა, ბუშის ადმინისტრაციას არაფერი გაუკეთებია“

ბარაქ ობამას სახელმწიფო მდივნის ჯონ ქერის თქმით, წინამორბედი პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციას 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომისთვის აქტიურად არ უპასუხია.

ამის შესახებ ქერიმ ვაშინგტონში, მშვიდობის ინსტიტუტში გამართულ კონფერენციაზე განაცხადა, სადაც ამერიკის ყოფილი და მომავალი მაღალი რანგის ოფიციალური პირები, მსოფლიოში ამერიკის როლის თემაზე საუბრობდნენ და განიხილავდნენ იმას, თუ როგორი უნდა იყოს ამერიკის საგარეო პოლიტიკა ახალი ადმინისტრაციის პირობებში.



სხვა საკითხებთან ერთად, ჯონ ქერიმ რუსეთის საკითხსაც შეეხო და აღნიშნა, რომ ობამას ადმინისტრაციის წინამორბედ ბუშის ადმინისტრაციას აქტიურად არ უპასუხია საქართველო-რუსეთის ომისთვის.

— არ მინდა, ისე გამომივიდეს, თითქოს განვსჯი, თუმცა, როდესაც რუსეთი საქართველოში, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში შეიჭრა, მაშინ არაფერი გაკეთებულა, სანქციები არ დაწესებულა, საერთოდ არაფერი.

ჩვენ მოვედით და, როდესაც უკრაინის კრიზისი დაიწყო, ევროპის მხარდაჭერა მოვიპოვეთ და სანქციები დავუწესეთ რუსეთს. ეს სანქციები მძიმე ტვირთია რუსეთისთვის. ჩვენ ნათლად ვთქვით, რომ რუსეთს ფასის გადახდა მოუწევდა ამისთვის. ევროპაში ზოგს სურს სანქციების შეწყვეტა, თუმცა ჩვენ ვახერხებდით, შეგვენარჩუნებინა სანქციები მინსკის შეთანხმების იმპლემენტაციისთვის, — აღნიშნა კერიმ.

სახელმწიფო მდივანი არ შეხებია მისი ადმინისტრაციის 2009 წლის გადაწყვეტილებას, ომიდან რამდენიმე თვეში დაეწყო „გადატვირთვა“ რუსეთთან.

მედიანიუსი

## დავით ნარმანია: „ღამის კლუბებთან დაკავშირებით პრემიერის დავალება დროული იყო“



თბილისის მერ დავით ნარმანიას განცხადებით, ღამის კლუბებთან დაკავშირებით პრემიერის ძალოვანი უწყებების მიმართ დავალება დროული იყო.

როგორც დედაქალაქის მერმა საკითხის კომენტირებისას აღნიშნა, მოსახლეობის მხრიდან ამ საკითხთან მიმართებით წუხილი პერიოდულად ისმოდა.

— დედაქალაქის მოსახლეობის მხრიდან პერიოდულად ისმის ამ საკითხთან დაკავშირებით წუხილი, ასე რომ, პრემიერის დავალება, ჩემი აზრით, იყო დროული და ძალიან მნიშვნელოვანი იმისათვის, რომ საკითხი იქნეს შესწავლილი.

თუ სადმე რაიმე კანონსაწინააღმდეგო მოქმედებას აქვს ადგილი, ის აუცილებლად უნდა აღმოიფხვრას. ამ საკითხთან დაკავშირებით რეაგირებები პერიოდულად იყო, — აღნიშნა მერმა.

## უგულავამ სააკაშვილი საბოლოოდ უარყო: „მიშა ჩემთვის დამთავრდა“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

* * *

გამოყოფილებს ნაციონალებშიც გამოეხმაურნენ.

პარტიის ლიდერი ნიკა მელია გიგი უგულავას განცხადებებით აღშფოთებული დარჩა. მას ვერაფრით აუხსნია, თუ რატომ არის სააკაშვილზე გამწარებული ის ადამიანი, რომელიც ივანიშვილმა დაიჭირა.

მელია ვარაუდობს, რომ წასულები წასვლისთვის დიდი ხნით ადრე მოემზადნენ.

— სამწუხაროა, რომ დღეს გვესაუბრებოდა ადამიანი, რომელიც დაიჭირა ივანიშვილმა, გამოუშვა ივანიშვილმა და გაბრაზებული იყო სააკაშვილზე. მე ძალიან მიჭირს ამ ადამიანის მიმართ კომენტარების გაკეთება ბევრი მიზეზის გამო, მაგრამ ნაციონალური მოძრაობა არ არის უბრალოდ პოლიტიკური გაერთიანება და პარტია. ამიტომ თავს შევიკავებდი ბევრი რამისგან, ვინაიდან ბევრი რამე ხელისგულზე დევს და საზოგადოება ხედავს, — აღნიშნა მელიამ.



### ნიკა მელია: „ივანიშვილის გეგმა ჩავარდა“

მისი თქმით, უგულავას ფრთის ჯგუფური წასვლა პარტიას ვერაფერს დააკლებს. მელია იმედოვნებს, რომ მათი წასვლის შემდეგ ნაცმოძრაობა გაიხსნება.

— ნაციონალური მოძრაობიდან წასულა ბევრი პოლიტიკოსი, პოლიტიკოსთა ჯგუფი წასულა, მათ შორის უფრო მძიმეწონოსანი პოლიტიკოსები, მაგრამ ნაციონალური მოძრაობა კი არ დასუსტებულა, პირიქით, გაძლიერებულა, ვინაიდან ნაციონალური მოძრაობა არ არის პერსონების მოძრაობა.

ამ გუნდის წასვლით დამთავრდა ნაციონალურ მოძრაობაში კარჩაკეტილობა, დამთავრდა ქედმაღლობა, დამთავრდა ნეპოტიზმი, დამთავრდა უგულებელყოფა საკუთარი ამომრჩევლებისა და 20 იანვრიდან იწყება განახლებული ნაციონალური მოძრაობის ახალი გზა, — განაცხადა ნაცმოძრაობის ლიდერმა.

ის გულნატკენი მხოლოდ იმით არის, რომ წასულებმა პრესკონფერენცია ივანიშვილის სტილში ჩაატარეს. ამასთან, ბედნიერია, რომ ყოფილი პრემიერის გეგმა ჩავარდა.

**ნიკა მელია:**

— ჩვენ პატივს ვცემთ მათ აზრს, წამსვლელი წავიდა. უბრალოდ, ძალიან მოულოდნელი იყო და ძალიან გაკვირვებული ვართ, რომ პირველი თავიანთი ბრიფინგი ივანიშვილის სტილში ჩაატარეს და მთელი თავიანთი დრო დაუთმეს ნაციონალური მოძრაობის, პრეზიდენტ სააკაშვილის ლანძღვასა და გინებას. მეტიც, კიდევ უფრო გასაკვირი იყო, რომ მთელი თავიანთი დრო პირველივე ბრიფინგზე ივანიშვილის ტექსტით ისაუბრეს. ეს კი ნამდვილად ძალიან სამწუხაროა.

ყველაზე მთავარი აქ არის ის, რომ ჩავარდა ივანიშვილის გეგმა, რომ ნაციონალური მოძრაობა დასუსტებულიყო და საუბარი საერთოდ ზედმეტია, რომ დაშლილიყო.

* * *

გიგი უგულავას განცხადებებს მიხეილ სააკაშვილიც გამოეხმაურა.

მელიასი არ იყოს, ისიც გაკვირვებულია, თუ რატომ არ არის უგულავა ივანიშვილზე გაბრაზებული.

ყოფილი მერის განცხადებამ ყოფილ პრეზიდენტს თავდაცვის ყოფილი მინისტრი ოქრუაშვილი გაახსენა და გული მოუკლა.

— ჩვენმა ხალხმა აჩვენა თავისი ძალა და არ დაუშვა ნაციონალური მოძრაობის ხელში ჩაგდებისა და ჩემი პარტიიდან გაშვების ივანიშვილისეული გეგმის განხორციელება. „განდგომილების“ რაოდენობა ყველამ ნახა, ხოლო ნაციონალური მოძრაობის მრავალრიცხოვნებასა და ძალაში ყველა დარწმუნდება 20 იანვრის ყრილობაზე. გიგიმ კი, რომელმაც ჩემზე უფრო მეტი ისაუბრა, ვიდრე მის ციხეში ჩამსმელ ოლიგარქზე, ოქრუაშვილი გამახსენა და ადამიანურად შემეცოდა.

დამთავრდა ნაცრის თავზე დაყრა და ლუზერების მმართველობა. პარტია ერთიანი და ძლიერია, როგორც არასდროს ბოლო 4 წლის განმავლობაში, ვინაიდან მისი კონტროლი დაიბრუნა რამდენიმე ათეულმა ათასმა აქტივისტმა. მომავალში უნდა მივიღოთ კანონი, რომელიც საშუალებას მისცემს ამომრჩეველს, მოტყუების შემთხვევაში, უკან გაიხმოს დეპუტატი, — დაწერა სააკაშვილმა ფეისბუქის საკუთარ გვერდზე.

ფეისბუქის დახმარებითვე დააყარა ქოქოლა განდგომილებს ყოფილმა დეპუტატმა ჩიორა თაქთაქიშვილმა.

მისი თქმით, განდგომილები შუშის კოლბისკენ მიმავალ გზას დაადგნენ.

— ჩამოირეცხეს ცხრა წელი და გაუდგნენ გზას შუშის კოლბისკენ. აბა, რა ექნათ, ციხე შიგნიდან ვერ გატეხეს! — დაწერა თაქთაქიშვილმა.

მანვე გიგი უგულავა ივანიშვილის სტილში საუბარში დაადანაშაულა.

— უგულავამ 15-წუთიან გამოსვლაში მიშა ლამის 20-ჯერ ახსენა. აი, ყოჩაღ! იმ ბრძენი კაცის რეკორდს მაინც ნუ მოხსნით, ეწყინება, ცოდოა, — აღნიშნა ყოფილმა დეპუტატმა.

* * *

პარტია, რომლის დაშლასაც დიდი ხანია ელოდნენ, ორად გაიყო. მათ შორის თითქმის ყველაფერი გარკვეულია. მხოლოდ პარტიის ოფისისა და ვანო მერაბიშვილის ამბავია უცნობი.

მერაბიშვილის პოზიციასთან დაკავშირებით ინფორმაციას არც ნაციხარი უგულავა ფლობს და ამბობს, რომ მერაბიშვილი თვალითაც არ უნახავს, შესაბამისად, არც მისი განწყობებია უგულავასთვის ცნობილი.

— ვანო მერაბიშვილი არის პოლიტპატიმარი, ის არის ჩემი მეგობარი, თანამებრძოლი. ვანო მერაბიშვილი თავის პოზიციას თვითონ იტყვის. თქვენ არ გქონდეთ წარმოდგენა, რომ რადგან ერთ ციხეში ვისხედით, ერთმანეთთან რაიმე კომუნიკაცია გვქონდა. აი, როგორც თქვენ არ გინახავთ, ისე მე არ მინახავს ის, აბსოლუტურად ცალ-ცალკე ვიყავით სამარტოო საკანში, — განაცხადა გიგი უგულავამ.

გახდომა-გასუქება 5–20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# მირიან მირიანაშვილი: „ნაცმოძრაობაში დადგმული სცენარი თამაშდება“

## „მზადდება გეგმა, რომლითაც „ქართულ ოცნებას“ დასავლეთთან ურთიერთობას გაუფუჭებენ“

მარიამ მჭედლიშვილი

ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში მიმდინარე პროცესების შესახებ „ახალი თაობა“ ესაუბრა პარტიის დამფუძნებელს, საქართველოს გადარჩენის მოძრაობის ლიდერ მირიან მირიანაშვილს

**მირიან მირიანაშვილი:**

– ექსპერტები ერთხმად ირწმუნებიან, რომ ნაციონალური მოძრაობა იშლება. ასეთი შეფასებები სწორი არ არის და არ კეთდება ღრმა ანალიზის საფუძველზე. როგორც ჩანს, ეს ფსევდოექსპერტები ერთიანი ცენტრიდან იმართებიან.

***– უფრო გულწრფელნი არიან ნაცმოძრაობის ის წევრები, რომლებიც ამბობენ, რომ ერთი ჯგუფის გასვლით ერთიანი ნაციონალური მოძრაობა არ იშლება?***

– სიმართლეს არცერთი მხარე არ ამბობს. სიმართლე სხვაა. ნაცმოძრაობაში დადგმული სცენარი თამაშდება. ქართული პოლიტიკა, ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან მოყოლებული, დაემსგავსა თეატრს. ნაციონალური მოძრაობა დახვეწილობითა და ორგანიზებულობით იქცა გამორჩეულ თეატრალურ დასად. მიამიტი მაყურებელი ვერ ხვდება, რომ ეს იმიტირებული სცენებია და იჯერებს, რომ დადგა ნაცმოძრაობის აღსასრული. არადა, ეს დადგმებია, ნაცმოძრაობას კი არანაირი საფრთხე არ ემუქრება. წარმოდგენები შევარდნაძის დროსაც იმართებოდა. იმ სანახაობებში ხალხს არწმუნებდნენ, თითქოს ჟვანია და სააკაშვილი სამკვდრო-სასიცოცხლოდ იყვნენ დაპირისპირებული მამალაძესთან. არადა, ეს ხალხი



ერთად რეპეტიციებს გადიოდა. ვიცი ბინა, სადაც იდგმებოდა კონფლიქტური სპექტაკლები მთავრობის სხდომებსა თუ შენობების ფოიეში. დღევანდელი ნაცმოძრაობა ნიჭიერად აგრძელებს იმ ტრადიციებს. ცოტამ თუ იცის, რომ 2016 წლის არჩევნებში ნაციონალური მოძრაობა ბლოკის სახით მონაწილეობდა.

***– ბოლო არჩევნებში ნაციონალური მოძრაობა და ევროპული საქართველო ერთად გამოდიოდნენ და მათ ბლოკი ჰქონდათ.***

– დიახ, მაგრამ ეს ბევრმა არ იცის. ეს ბლოკი საგანგებოდ შექმნეს.

***– გაყოფის სცენარი მაშინ უკვე არსებობდა?***

– გეგმები ნაციონალური მოძრაობის გაძლიერების მიზნით ადრევე, ასე, თებერვალში, შემუშავდა. ბლოკის შექმნა ერთი დეტალი იყო. არჩევნების შემდეგ ბლოკის ორივე პარტია ხდებოდა კვალიფიციური სუბიექტი. ასე მოხდა კიდეც. გარდა ამისა, ნაცმოძრაობა პარლამენტში მესამე ძალის შეყვანას გეგმავდა.

***– ბურჭულაძის ბლოკზე ადრეც გისაუბრიათ.***

– ბოკერია და კვირიკაშვილი მართავდნენ საიდუმლო მოლაპარაკებებს ამ ბლოკის თაობაზე. ბიძინა ივანიშვილს არასწორად აწვდიდნენ ინფორმაციას. პარლამენტში, ქართული ოცნებისა და ნაციონალური მოძრაობის გარდა, უნდა შესულიყვნენ ბურჭულაძის მოძრაობა, ახალი მემარჯვენეები, ანუ კვირიკაშვილის პარტია და ნაციონალების განაყოფები – გირჩი და ვაშაძე. ამის შემდეგ უნდა მომხდარიყო ის, რაც ახლა ხდება. როგორც ხედავთ, ამ გეგმის ნაწილი ჩაიშალა, ნაწილი სრულდება. ბიძინა ივანიშვილს მესამე ფსევდოძალაზე რამდენიმე თვის წინ თვალი აეხილა.

***– სრულდება გეგმის ნაწილი ნაცმოძრაობის წიაღიდან კიდევ ერთი ძალის შექმნის შესახებ?***

– დიახ, კონფლიქტის სცენების თანხლებით. ეს ყველაფერი შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც პოლიტიკური ველი მოსუფთავდა.

***– ოპოზიციურ ფლანგზე მხოლოდ გაშლილი ნაცმოძრაობა რჩება?***

– დიახ. საკუთრივ ნაციონალური მოძრაობის გარდა, პოლიტიკურ ველზე რჩებიან გირჩი, ვაშაძე და ბოკერიას ჯგუფი. ნაცმოძრაობა ახდენს პოლიტიკური სივრცის ხელახალ ოკუპაციას. მზადდება გეგმა, რომლითაც „ქართულ ოცნებას“ დასავლეთთან ურთიერთობებს გაუფუჭებენ. ნაცმოძრაობა და მისი განაყოფები იქნებიან მთელი ოპოზიცია, რომელთანაც ექნება კომუნიკაცია აშშ-ის ადმინისტრაციას. ამაზე ენერგიულად იმუშავებს ნაცმოძრაობის პროპაგანდა.

***– რას შეეხება ეს პროპაგანდა?***

– მომრავლებული ნაციონალები დაარწმუნებენ დასავლეთს თავიანთ პროდასავლეროობასა და ბიძინა ივანიშვილის პრორუსულობაში. ეს ყველაფერი მასშტაბურ სახეს მიიღებს იმ დროისთვის, როცა ტრამპის ადმინისტრაციის დაკომპლექტება დასრულდება. ამერიკაში პუტინის წინააღმდეგ უკვე გროვდება მამხილებელი მასალები. ნაცმოძრაობა გააქტიურდება მოგვიანებით და წამოსწევს ამ ანტიპუტინური თემის ქართულ მიმართულებას. ეს იქნება ორმო „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ.

***– „ქართულ ოცნებაში“ ამას ვერ ხვდებიან?***

– თქვენი პოპულარული გაზეთის მეშვეობით მინდა მოვუწოდო ხელისუფლებას, ის მაინც არ დაუშვას, რომ ნაცმოძრაობა მთავარ თემად დარჩეს ქვეყანაში. მათ პროპაგანდისტულ აქტივობას ხელი არ უნდა შეეწყოს. რაც პროპაგანდისტულად რეიტინგულია, ის მერე საინტერესო ხდება. მოსალოდნელია ნაცმოძრაობის თემის აქტუალიზაცია სასამართლოს პროცესების გამო.

***– მხარეები აცხადებენ, რომ ერთმანეთს სასამართლოში არ უჩივლებენ.***

– გამოიყოფა ჯგუფი, რომელიც გაასაჩივრებს ნაციონალური მოძრაობის 20 იანვარს დანიშნული ყრილობის შედეგებს და საეჭვოს გახდის მის ლეგიტიმურობას. ამას ნაცმოძრაობა პროპაგანდისა და „ქართული ოცნების“ დასუსტებისათვის მარჯვედ გამოიყენებს. კარგი იქნება, თუ ამ საკითხებზე არანაირი სასამართლო პროცესი არ გაიმართება.

# ტრამპი საქართველოს დახმარებას გააგრძელებს?

აშშ-საქართველოს სამომავლო ურთიერთობებზე, საქართველოში სენატორების ჯონ მაკეინის, ლინდსი გრემისა და ემა კლობუჩარის ვიზიტის მნიშვნელობასა და აშშ-ის პოლიტიკის სხვა პერიპეტიებზე ამერიკული რადიოსადგურის კორესპონდენტი პორტალ „ევრაზიანეტის“ კავკასიის რედაქციის მთავარ რედაქტორ **ჯოშუა კუჩერას** ესაუბრა.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ინტერვიუს ქართულენოვან ვერსიას.




***– როგორ შეაფასებდით სამი სენატორის (ჯონ მაკეინი, ლინდსი გრემი, ემა კლობუჩარი) ორპარტიული დელეგაციის ვიზიტს საქართველოში და რა გზავნილი მიიღეს ამ ვიზიტით მოსკოვსა და ვაშინგტონში?***

– ცხადია, მათ იმის ჩვენება სურდათ, რომ, დღევანდელი გაურკვევლობის მიუხედავად, თუ როგორი იქნება აშშ-ის პოლიტიკა რუსეთისა და მისი მეზობლების მიმართ, შეერთებული შტატების მთავრობის ერთი ნაწილი კვლავ საქართველოს მტკიცე მხარდამჭერი და რუსეთის მოწინააღმდეგეა.

მოგზაურობის მარშრუტიც – ბალტიისპირეთი, უკრაინა და საქართველო – ცხადყოფს დელეგაციის გზავნილებს, რომლებიც რუსეთისა და ამერიკის არჩეული პრეზიდენტი დონალდ ტრამპისათვის იყო განკუთვნილი: თუ დონალდ ტრამპი აპირებს, რუსეთისა და საქართველოს მიმართ ამერიკის პოლიტიკა კარდინალურად შეცვალოს, კონგრესი მას წინ აღუდგება.

***– შეძლებენ თუ არა აღნიშნული სენატორები აშშ-ის მომავალ ადმინისტრაციაზე გავლენის მოხდენას საკუთარი პოზიციების დასაცავად და რეგიონის ქვეყნების გვერდში დგომას?***

– ვფიქრობ, თუ დონალდ ტრამპმა პოლიტიკის შეცვლა ისურვა, ბევრ წინააღმდეგობას შეხვდება კონგრესში, სახელმწიფო დეპარტამენტში, პენტაგონსა და სხვა სამთავრობო უწყებებში. შესაძლოა, სენატორების ვიზიტი არჩეულ პრეზიდენტთან საჯარო ოპონირების მცდელობა იყო.

***– რისი თქმა მოახერხეს მათ ოფიციალური თბილისისთვის და რა იყო აქ ყველაზე საყურადღებო?***

– მე რომ ქართველი ვიყო, ჩემს თავს ვკითხავდი, რითაა დღევანდელი ვითარება განსხვავებული იმისგან, რასაც უკანასკნელი ათი წელია ვხედავთ. კვლავ გვესმის გზავნილები საქართველოს მიმართ ამერიკის მადლიერებისა და ორი ქვეყნის მტკიცე მეგობრობის შესახებ, მაგრამ იცავს ეს გზავნილები საქართველოს რუსეთისგან? არა.

ჩვენ ეს 2008 წელსაც ვნახეთ. არა მგონია, მას შემდეგ თვისობრივად რაიმე შეცვლილიყოს. ამგვარად, ქართველი რომ ვიყო, ამ ყველაფერს ეჭვით შევხედავდი. მეჩვენება, რომ ეს სტუმრობა სენატორებისთვის კამერებთან პოზირების საშუალება იყო, რაც სინამდვილეში ბევრს არაფერს ნიშნავს. ამაში დასარწმუნებლად საკმარისია, ამერიკის პოლიტიკის წვრილმანებს გადავავლოთ თვალი.

***– რამდენად მტკიცედ შეეცდება აშშ-ის მომავალი ადმინისტრაცია საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის მხარდაჭერასა და მისი ინტერესების დაცვას რუსეთთან დიალოგისა თუ ოკუპაციონისტური ხელისუფლების ჰიბრიდული ზრახვების, მოქმედებების გასანეიტრალებლად?***

– ჯონ მაკეინს, ლინდსი გრემსა და ემა კლობუჩარს პოლიტიკაზე გავლენის მოსახდენად ბევრი ბერკეტი არ გააჩნიათ. გასულ ზაფხულს შეერთებულმა შტატებმა საქართველოსთან სამხედრო თანამშრომლობის ახალი შეთანხმება გააფორმა. ეს შეთანხმება უსაფრთხოების სფეროში აშშ-ის დახმარების მიმართულებას ცვლის.

აქამდე აშშ საქართველოს ავღანეთში გასაგზავნი კონტინგენტის მომზადებაში ეხმარებოდა. ამიერიდან აქცენტი გაკეთდება ტერიტორიულ თავდაცვაზე, რომ საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა უკეთ დაიცვან ქვეყნის ტერიტორია. ქართველებს ყოველთვის ეს სურდათ.

საქართველო სამშვიდობო მისიებში იმიტომ მონაწილეობდა, რომ მისიები მისთვის ერთადერთი ამერიკული სამხედრო დახმარება იყო. ამგვარად, საქართველოსთვის უსაფრთხოების სფეროში ამერიკის დახმარების ტრაექტორია პოზიტიურად შეიცვალა, მაგრამ არავინ იცის, ასევე გაგრძელდება თუ არა 20 იანვრის შემდეგ. ზოგადად, სხვა თუ არაფერი, სამხედრო თვალსაზრისით მაინც ამერიკა საქართველოს ასე აქტიურად არასოდეს დახმარებია.

***– უშუალოდ ორმხრივი ურთიერთობების პოტენციაზე რას გვეტყვით?***

– ეს ის თემაა, რომელზეც ჯერჯერობით წარმოდგენა არ გვაქვს. მოვლენები შეიძლება ორივე მიმართულებით განვითარდეს. დონალდ ტრამპმა ნატოსთან დაკავშირებით ეჭვები უკვე გამოთქვა. ახალი ადმინისტრაცია ნატოს გაფართოებას, ალბათ, ნაკლებ ყურადღებას დაუთმობს. ნატოში შეერთებული შტატების გავლენა არასოდეს ყოფილა ისეთი უსაზღვრო, რომ საქართველო ალიანსში შეეყვანა. ამ მიმართულებით ბევრი არაფერი შეიცვლება. ჯერჯერობით ძალიან მწირი ინფორმაცია გვაქვს.

ნათელია, რომ დონალდ ტრამპმა რუსეთზე ბევრი არაფერი იცის. ნათელია, რომ მას მოსწონს ვლადიმირ პუტინის, როგორც ძლიერი ტიპის იმიჯი. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ დონალდ ტრამპსა და რუსეთს საერთო პოლიტიკური ინტერესები აქვთ? ვეჭვობ. არა მგონია, თავად დონალდ ტრამპმა იცოდეს. ჩვენ, მით უმეტეს, წარმოდგენაც კი არ გვაქვს.

***– აშშ-ის მომავალი პრეზიდენტის გარდამავალ გუნდს, რუსეთთან მიმართებით მათ განცხადებებსა და არჩეული პრეზიდენტის ნომინაციების დამტკიცების პერსპექტივას როგორ უყურებთ სენატში?***

– არ ვიცი, რა გავლენა აქვს ჯონ მაკეინს ვაშინგტონში. მეჩვენება, რომ დონალდ ტრამპისა და რუსეთის თემამ მას ენერგია შემატა. ჯონ მაკეინი ძალიან არის გააქტიურებული. პრესა მას დიდ ყურადღებას უთმობს. მაგრამ მე ყურადღებას კაბინეტის წევრებზე უფრო გავამახვილებდი.

ბევრი განხილვა და სპეკულაცია მოვისმინეთ. არა მგონია, ვინმეს ამომწურავი ინფორმაცია ჰქონდეს. ზოგიერთი მათგანი რუსეთის მიმართ უფრო შემრიგებლურია, ზოგიერთი – ნაკლებად.


ჯოშუა კუჩერა

ვვარაუდობ, რომ მათი ხმა იქნება გადამწყვეტი და არა – ჯონ მაკეინის, რომელსაც დონალდ ტრამპთან ცუდი ურთიერთობა აქვს. არ მესმის, როგორ შეიძლება, მან დონალდ ტრამპს აზრი შეაცვლევინოს. ვნახავთ, შეძლებს თუ არა ჯონ მაკეინი რუსეთის მიმართ პოლიტიკის შეცვლის საწინააღმდეგოდ კონგრესის დარაზმვას, მათ შორის, დონალდ ტრამპის მიერ რუსეთისკენ გადადგმული ნაბიჯების წინ აღდგომას.

დაბოლოს, მოკლედ ისევ ჯონ მაკეინის ვიზიტზე საქართველოსა და უკრაინაში. არ ვიტყოდი, რომ ვიზიტი უმნიშვნელო იყო, მაგრამ თითქმის უმნიშვნელო. ისინი გზავნილის გაგზავნას შეეცადნენ. ამ წუთისთვის ყველაფერი ძალიან სათუოა, მაგრამ თუ დონალდ ტრამპი შეეცდება საქართველოსა და რუსეთის მიმართ ამერიკის პოლიტიკის დრამატულად შეცვლას, მთავრობის სხვა შტოებისგან მას დიდი წინააღმდეგობა შეხვდება. ვფიქრობ, სწორედ ეს შეტყობინება გაეგზავნა მას.

რას მოიმოქმედებს ჯონ მაკეინი, რა გავლენას მოახდენს სენატორების ვიზიტი, არ ვიცი, მაგრამ, ვხედავთ ნიშნებს, რომ პოლიტიკის შეცვლა ყველას არ მოეწონება.

**ნიუსპრესი**

# იოჰანეს ჰანი: „საქართველოს მოქალაქეებისთვის კარგი ახალი წელი იქნება“



– მივესალმები ევროპარლამენტის სამოქალაქო თავისუფლებათა, მართლმსაჯულებისა და საშინაო საქმეთა კომიტეტის მიერ საქართველოს ვიზალიბერალიზაციის საკითხისადმი მტკიცე მხარდაჭერას.

აღნიშნულის შესახებ სოციალურ ქსელ ტვიტერის პირად გვერდზე ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაწევრიანების თაობაზე მოლაპარაკებების საკითხებში ევროკომისარი იოჰანეს ჰანი წერს.

მან ასევე აღნიშნა, რომ ეს კარგი ახალი წელი იქნება საქართველოს მოქალაქეებისთვის.

გუშინ, 12 იანვარს, ევროპარლამენტის სამოქალაქო თავისუფლებათა, მართლმსაჯულებისა და საშინაო საქმეთა კომიტეტმა საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლას მხარი დაუჭირა.

კენჭისყრაში 45-მა დეპუტატმა მიიღო მონაწილეობა. აქედან 42-მა საქართველოს ვიზალიბერალიზაციას მხარი დაუჭირა, 2-მა წინააღმდეგ მისცა ხმა, 1-მა კი თავი შეიკავა.

კენჭისყრა პლენარულ სხდომაზე თებერვალში გაიმართება.

**ინტერპრესნიუსი**

# „გაზპრომთან ჩახუტება დასავლეთს დაგვაშორებს“

## ზაალ კასრელიშვილი: „ევროპაში საქართველოს ხელისუფლებას ისედაც ეჭვის თვალით უყურებენ“

შორენა მარსაგიშვილი

იცვლის თუ არა ქვეყანა საგარეო კურსს, რა განმარტებები უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ, რას ნიშნავს გაზპრომთან თანამშრომლობა? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში **ზაალ კასრელიშვილი** ესაუბრება.

***– როდესაც გაზპრომთან ხელშეკრულების გაფორმებაზე დაიწყო საუბარი, თქვენ თქვით, რომ ასეთი ქმედება დასავლეთთან ურთიერთობაში პრობლემებს შეგვიქმნიდა. ხელშეკრულება გაფორმებულია. რა იქნება შემდეგ?***

– გაზპრომთან ხელშეკრულების გაფორმება კარგი ამბავი არ არის, მაგრამ, რატომღაც მგონია, რომ ქვეყანაში ამაზე მნიშვნელოვანი პროცესები მიმდინარეობს, რომლებზეც პოლიტიკური ელიტა დუმს. არადა, საუბარია სასიცოცხლო მნიშვნელობის მოვლენებზე.

***– რა მოვლენები გაქვთ მხედველობაში?***

– მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები, რომლებიც აუცილებლად მოახდენს ჩვენზე გავლენას, გაზპრომთან გაფორმებული ხელშეკრულება კი ნებისმიერ დროს შეიძლება გადაიხედოს. ეს შეთანხმება ისედაც საეჭვოა, ხელისუფლების წარმომადგენელთა აბდაუბდა კომენტარები კიდევ უფრო საეჭვოს ხდის მას. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ხელისუფლება ყველა თემაზე ასე მიკიბვ-მოკიბვით საუბრობს.

ხელისუფლება ვალდებულია, დაგვისახელოს გაზის საერთაშორისო ღირებულება, გაირკვეს ის თანხა, რომელსაც ჩვენ რუსეთი გაზის ტრანზიტისთვის გადაგვიხდის. არც იმის გარკვევა იქნება ცუდი, თუ რამდენს უხდის სხვა ქვეყნებს გაზის ტრანზიტისთვის რუსეთი. ამით ყველა კითხვას გაეცემა პასუხი.

ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, მიმაჩნია, რომ ჯობდა, ტრანზიტის საფასური გაზითვე აენაზღაურებინათ, ხოლო თუ კარგ თანხას გადაიხდიან, არც ეს იქნებოდა ცუდი, მაგრამ რუსეთი ამაში კარგ თანხას არ გადაიხდის. სამაგიეროდ, ჩვენ გაგვიფუჭდება დასავლეთთან ურთიერთობა.

***– რატომ უნდა გაგვირთულდეს, ისინიც ხომ გაზპრომის გაზით თბებიან?***

– გაზპრომთან ნებისმიერი საეჭვო ურთიერთობა დასავლეთსა და თურქეთში სერიოზულ ეჭვებს იწვევს. ისინი ფიქრობენ, რომ გაზპრომი საქართველოში იმაგრებს პოზიციებს, რაც შუა აზიიდან მომავალ ენერგომატარებლებს დაბლოკავს. ჩემი შეხსენება, წესით, არ უნდა სჭირდებოდეთ, მაგრამ ახალ წლებზე, ალბათ, იმდენი ჭამეს და დალიეს, რომ გონება სხარტად აღარ უმუშავებთ.

მათ გასაგონად მინდა ვთქვა, რომ დასავლეთი საქართველოსა და აზერბაიჯანის ენერგოდერეფანს რუსული ენერგომატარებლების ალტერნატივად განიხილავს. შესაბამისად, დასავლეთს ამ დერეფნის მეშვეობით შეუძლია, თავიდან აიცილოს რუსეთის მხრიდან ეკონომიკური ბერკეტების გამოყენება.

***– გაზპრომთან გაფორმებულმა ხელშეკრულებამ ჩვენში ბევრს გაახსენა რუსეთ-უკრაინის გაზის ომი, რაც იმით დამთავრდა, რომ მაშინდელმა ხელისუფლებამ ევროპაზე უარი თქვა, რასაც შემდეგ მაიდანი მოჰყვა. ჩვენთან თუ მოხდება ასეთი რამე?***






– უკრაინის მაშინდელი ხელისუფლება ვირეშმაკულ პოლიტიკას ატარებდა – სანახევროდ რუსეთს ეჯდა კალთაში და სანახევროდ – ევროპას. გაზის ომის გარდა, იქ აქტუალური იყო იულია ტიმოშენკოს ციხიდან გამოშვება. ევროპა მის გათავისუფლებას ითხოვდა. ხელისუფლებამ ამ 2 თემით იმდენი ხანი ივაჭრა, ისე გააღიზიანა უკრაინის მოსახლეობა, რომ მიიღო მაიდანი, რასაც ეკონომიკის დანგრევა და ყირიმის დაკარგვა მოჰყვა.

ჩვენდა საუბედუროდ, სცენარები მეორდება, უბრალოდ, მასშტაბებია სხვადასხვა. რუსეთის იმპერია იმავე მეთოდებს იყენებს, რომლებსაც 300 წლის წინ იყენებდა კავკასიის დასამორჩილებლად.

კიდევ გავუმეორებ ხელისუფლებას, რომ ნებისმიერი საკითხი, რომელიც ეხება გაზპრომს, როგორც დასავლეთში, ასევე აღმოსავლეთში დიდ აჟიოტაჟს იწვევს. ასევე აქტიურად ისმება კითხვები საქართველოს ხელისუფლების ეფექტურობასა და ქმედებაუნარიანობაზე. „ახალ თაობასთან“ საუბრებში არაერთხელ ვთქვი, რომ დასავლეთს ისედაც კითხვები აქვს ჩვენი ხელისუფლების ვირეშმაკობის გამო. ამ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ კიდევ უფრო ბევრი კითხვა იქნება.

***– ვიზალიბერალიზაციის მიღებაში თუ შეგვიშლის გაზპრომთან ჩახუტება ხელს?***

– მინდა, ყველამ იცოდეს, რომ გაზპრომთან ჩახუტება დასავლეთთან დაგვაშორებს. რაც შეეხება ვიზალიბერალიზაციას, აქ უფრო სხვანაირად არის საქმე. ამ საკითხის გამო ევროპელი პოლიტიკოსები ერთმანეთს სიტყვიერადაც კი დაუპირისპირდნენ. ევროპელების ნაწილისთვის საქართველო კრიმინალთან ასოცირდება. ახლო აღმოსავლეთიდან შესულმა ლტოლვილებმა ევროპაში კიდევ უფრო დაამძიმეს ვითარება, ამიტომაც იკავებენ ჩვენთვის ვიზალიბერალიზაციის მონიჭებისგან თავს.

ევროპელი პოლიტიკოსების კონსერვატიული ფრთა მიიჩნევს, რომ საქართველოს ხელისუფლება ვირეშმაკობს და რუსეთთან კავშირს არ წყვეტს. მათ საპასუხოდ მეორე ფრთა ამბობს, რომ საქართველომ გაზაფხულისთვის აუცილებლად უნდა მიიღოს ვიზალიბერალიზაცია. მათი თქმით, ეს პროცესი თუ დაგვიანდება, მოვლენები რუსეთისთვის სასარგებლოდ განვითარდება. გაზპრომთან გაფორმებულმა ხელშეკრულებამ კი ეს პროცესი, შესაძლოა, გააჭიანუროს.

***– ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ქვეყნის საგარეო კურსი ხომ არ შეიცვალა?***

– ჩვენ გვინდა, გვჯეროდეს, რომ არ იცვლება. მსოფლიო პოლიტიკური პროცესების არქიტექტორებს კი საქართველოს მიერ საგარეო კურსის ცვლილებაზე სერიოზული ეჭვები აქვთ. ამაზე ისინი უკვე ხმამაღლა ალაპარაკდნენ და ეს ძალიან ცუდია.

***– ხმამაღლა რას ლაპარაკობენ?***

– იმას, რომ საქართველოს ხელისუფლება ვირეშმაკობს და საგარეო კურსი ნელ-ნელა რუსეთის სასარგებლოდ იცვლება. ჩვენ ამ საკითხზე კომენტარის გაკეთება გვიჭირს, რადგან საქართველოს ხელისუფლება არ აქვეყნებს იმ დოკუმენტებს, რომელთა მიხედვითაც კურსის ცვლილებაზე ან უცვლელობაზე შეიძლება საუბარი. სამაგიეროდ, ვიცით, რასაც ფიქრობენ დასავლეთში გავლენიანი პოლიტიკოსები და ამის შესახებ ზემოთ უკვე მოგახსენეთ.

მოსახლეობა რომ არ დავზაფროთ, იმასაც გეტყვით, რომ მსოფლიო პროცესების არქიტექტორები საქართველოსთან ურთიერთობას მაინც არ ამწვავებენ.

***– იმედი აქვთ, რომ ისევ ევროპას დავუბრუნდებით?***

– ამის იმედიც აქვთ, მაგრამ თავს სხვა მიზეზებით იკავებენ. უკრაინაში ატეხილი სისხლისღვრა რამდენიმე ევროპელ პოლიტიკოსს დაბრალდა. ამიტომაც არიან ჩუმად და ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე დამატებით ბარიერებს აღარ გვიქმნიან.

# ივანიშვილმა აჭარიდან ხეების გატანა განაახლა



აჭარიდან ექსპრეზიდენტ ბიძინა ივანიშვილის მიერ შერჩეული და შესყიდული მრავალწლოვანი ხეების გურიაში, კერძოდ კი შეკვეთილში გადატანის პროცესი მალე განახლდება. ჩაქვიდან, ბუკნარიდან, ციხისძირიდან რამდენიმე ძირ ხეს ამზადებენ გადასატანად – მაგნოლიები, ტიტას ხეები, ჭადარი და სხვ. ხეების გატანის მიზნით რამდენიმე მიმართულები გზები გაჰყავთ. სპეციალისტების შეფასებით, ეს პროცესი შეიცავს ციხისძირში ლანდშაფტის დაზიანების რისკებს.

ხეების გადატანაზე კვლავ კომპანია „ზიმო“ მუშაობს. კომპანიაში არ აზუსტებენ, რამდენი ძირი ხის გადატანაა კიდევ დაგეგმილი და რა თანხა იხარჯება ხეების გატანასა თუ გზების კეთებაზე: „ბევრია. ძირითადად კერძო მესაკუთრეების ტერიტორიებზე“.

ყოფილი პრემიერ-მინისტრი შეკვეთილში დენდროლოგიურ პარკს აშენებს.

**პირველი რადიო**

# რა გახდა ბორჯომში მამაკაცის თვითმკვლელობის მიზეზი?




ჯანდაცვის სამინისტროს განცხადებით, არ დასტურდება ინფორმაცია, რომ ბორჯომის რაიონის სოფელ ყვიბისში მამაკაცის თვითმკვლელობის შესაძლო მიზეზი სამსახურიდან დათხოვნა ან მეუღლის მკურნალობის ხარჯების არქონა გახდა.

ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, ჯანდაცვის სამინისტრო დაუკავშირდა როგორც ადგილობრივ თვითმმართველობას, ასევე გარდაცვლილი მამაკაცის ოჯახს.

– ორივე მხარე საუბარში უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, რომ თვითმკვლელობის შესაძლო მიზეზი სამსახურიდან გათავისუფლება ან მეუღლის მკურნალობის ხარჯების არქონა გახდა.

როგორც ოჯახის წევრი აცხადებს, გარდაცვლილს მეუღლის სამედიცინო მომსახურება სრულად დაუფინანსდა როგორც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში (6.878 ლარი), ისე ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ (3.500 ლარი). ოჯახი არ ადასტურებს გარდაცვლილის სამსახურიდან დათხოვნის ფაქტსაც, – ნათქვამია განცხადებაში.

**ინტერპრესნიუსი**

# მთავრობამ მაღალპროცენტიანი ონლაინსესხების ბიზნესის არსებობა ეჭვქვეშ დააყენა



ფინანსთა მინისტრი არ ადასტურებს გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ონლაინსესხების შესახებ რეგულირების დოკუმენტი საკანონმდებლო ორგანომ მთავრობას უკან დაუბრუნა.

როგორც დიმიტრი ქუმსიშვილმა განაცხადა, სამოქალაქო კოდექსში ცვლილებები უკვე შესულია და ხელმოწერილია პრეზიდენტის მიერ.

– ჩანაწერი „ონლაინსესხი“ არ არსებობს. სამოქალაქო კოდექსში რაც ჩაიწერა, არის ის, რომ მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი როგორც გაცემის, ისე დაფარვის, ჯარიმის, საურავის, ჯამურად წლიურად, არ უნდა აღემატებოდეს 150%-ს, რაც იმ ბიზნესმოდელს, რომელიც გვქონდა საქართველოში ე.წ. ონლაინსესხების ნაწილში არ აძლევს შესაძლებლობას, წარმატებით გააგრძელონ ფუნქციონირება, თუმცა კომპანიები, რომლებიც გადაკეთდებიან მიკროსაფინანსო ორგანიზაციებად, რისკებს დააზღვევენ, ისინი დარჩებიან ბაზარზე და გააგრძელებენ საქმიანობას, – განაცხადა ფინანსთა მინისტრმა.

საქართველოში ონლაინსესხების გაცემის აკრძალვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ორიოდე კვირის წინ პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომაზე გაახმოვანა.

მაშინ ონლაინ-საკრედიტო ორგანიზაციებში პრემიერის ამ ინიციატივას არაკონსტიტუციური უწოდეს და განაცხადეს, რომ ამის გაკეთება, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

მოგვიანებით მთავრობამ გადაწყვეტილება შეცვალა და ონლაინსესხების გამცემი კომპანიების აკრძალვა გადაიფიქრა. პარალელურად, იმავე პერიოდში ცნობილი გახდა, რომ სესხებზე საპროცენტო განაკვეთის 100%-იანი ზედა ჭერი დაწესდებოდა, მოგვიანებით ეს 150%-მდე გაიზარდა. თუმცა 150%-იან განაკვეთზეც ონლაინსესხების გამცემ კომპანიებს მუშაობა გაუჭირდებათ და ისინი, ფაქტობრივად, იძულებული იქნებიან, ან დაიხურონ, ან კიდევ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებად გადაკეთდნენ.

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, რამდენიმე კომპანიამ ეს გადაწყვეტილება უკვე მიიღო.

**კომერსანტ.გე**

# დავით ზალკალიანი: „ეს იქნება პოზიტიური გადაწყვეტილება ევროპარლამენტის მხრიდან“



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ზალკალიანი საქართველოს მიერ კიდევ ერთ წინ გადადგმულ ნაბიჯად აფასებს ლიბე-ს კომიტეტის მიერ საქართველოს ვიზის ლიბერალიზაციის მხარდაჭერას.

– მას შემდეგ, რაც ევროპარლამენტი უყრის კენჭს და ჩვენ გვაქვს განცდა, რომ ეს იქნება პოზიტიური გადაწყვეტილება ევროპარლამენტის მხრიდან, ის ფორმალურად იქნება დადასტურებული ევროპის კავშირის საბჭოს მინისტრების მიერ. მას შემდეგ, რაც ხელს მოაწერს ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა და ევროპარლამენტის პრეზიდენტი, იგი უკვე გამოქვეყნდება ევროკავშირის ჟურნალში.

სავარაუდოდ, მას აქვს ამ გამოქვეყნებიდან 20 დღის ვადა და ეს ის პერიოდია, როდესაც ის უნდა ამოქმედდეს. სავარაუდოდ, ეს პროცესი ამოქმედდება და საქართველოს მოქალაქეები ისარგებლებენ ევროკავშირში თავისუფალი გადაადგილებით შეჩერების მექანიზმის ამოქმედებასთან ერთად.

ჩვენ გვჯერა, რომ ეს პროცესი უმტკივნეულოდ გაივლის და ჩვენს მოქალაქეებს ექნებათ საშუალება, ისარგებლონ ამ ძალიან მნიშვნელოვანი სიკეთით, – განაცხადა დავით ზალკალიანმა.

**მედიანიუსი**

# საქართველოში მიწისძვრა მოხდა

გუშინ საქართველოში, დმანისის რაიონში, 3,2 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა. მისი ეპიცენტრი დმანისის



მახლობლად, სოფელ მამიშლარიდან 6 კილომეტრში მდებარეობდა. ამის შესახებ დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა და სეისმური მონიტორინგის ცენტრი იუწყება.

ნგრევისა და მსხვერპლის შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება.

**კვირა**

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# გაზპრომთან ახალი ხელშეკრულება წამგებიანია

ნონა ცაბაძე

გაზპრომთან გაფორმებულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით „ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი **თორნიკე შარაშენიძე** და პარლამენტის დეპუტატი **რევაზ არველაძე** პასუხობენ.

***– ბატონო თორნიკე, გვესმის შეფასებები, რომ სტრატეგიული ობიექტის საფრთხის ქვეშ დგას, რომ ეს წამგებიანი ხელშეკრულებაა. რას იტყვით თქვენ?***

– არანაირი სტრატეგიული ობიექტი საფრთხის ქვეშ არ დგას, უბრალოდ, ჩვენ გაზის მაგივრად ფულს ვიღებთ. ნაკლებად მომგებიანი კონტრაქტია ახლა გაფორმებული. კატასტროფა ნამდვილად არ მომხდარა. გასაგებია, რომ ოპოზიციამ აპოკალიფსი გამოაცხადა, მაგრამ აპოკალიფსი არ მომხდარა. უბრალოდ, ნაკლებად მომგებიანი კონტრაქტია. 15 წელი გვქონდა ჩვენ მომგებიანი კონტრაქტი, ახლა გვაქვს ნაკლებად მომგებიანი კონტრაქტი.

***– ანუ ჯობდა, რომ გაზი მიგვეღო თანხის სანაცვლოდ?***

– რა თქმა უნდა, ჯობდა! ეს იყო ძალიან კარგი კონტრაქტი. როგორც ვიცი, ამ კონტრაქტს მსოფლიოში ანალოგი არ ჰქონდა. რუსული მხარე სწორედ ამას იყენებდა არგუმენტად, რომ მთელ მსოფლიოში ასეა მიღებული, სანაცვლოდ იღებენ ფულს და არა გაზს და ქართველები რა ხართ ასეთი. თუმცა რუსეთმა და გაზპრომმა რაღა ჩვენთან მოინდომეს საერთაშორისო სტანდარტების დაცვა, როცა თავად მთელ მსოფლიოში არღვევენ ამ სტანდარტებს. ფაქტია, რომ 15 წლის განმავლობაში რუსეთისა და პუტინის ზეწოლას მარტივად ვიგერიებდით, ახლა კი კალაძემ ველარ მოიგერია.

***– რატომ, რა შეიცვალა?***

– არ ვიცი, რა შეიცვალა. როგორც ვნახეთ, კალაძემაც შეძლო და მოიგერია შარშან. წელს ველარ მოიგერია.

***– რა ბერკეტი ჰქონდა გაზპრომს ხელში?***

– რუსეთს ორი ბერკეტი შეიძლებოდა ჰქონოდა ხელში, ერთი, თუ, ბოლოს და ბოლოს, თქვენ არ დათანხმდებით ამ პირობას, მაშინ ირანიდან მივაწვდი გაზს სომხეთს და თქვენ, როგორც ტრანზიტული ქვეყანა, აღარაფერში მჭირდებით, ვერც გაზს მიიღებთ და ვერც ფულსო, ამის თქმა შეეძლო რუსეთს. თუმცა ირანი გაცილებით პრობლემატური პარტნიორი იქნება რუსეთისთვის. ის გაცილებით დიდი სახელმწიფოა და პრეტენზიაც მეტი ექნება. ასევე ჩემთვის უცნობია, ირანში რამდენად არის მზად ინფრასტრუქტურა იმისთვის, რომ სრული დატვირთვით გაატაროს ბუნებრივი აირი. მე ამის დეტალებში ვერ შევალ. ირანი უფრო ამბიციური ქვეყანაა, ვიდრე საქართველო. წესით, მეტ პრობლემს შეუქმნიდა.

***– რატომ არის ეს კონტრაქტი ძველზე უარესი? არ ვიღებთ გაზს, მაგრამ სანაცვლოდ ვიღებთ თანხას.***



– კალაძემ იმას ნამდვილად მიაღწია, რომ, გაზი თუ დაგვჭირდება, გაზპრომთან შედარებით, უკეთეს ფასად ვიყიდით. წესით, ხელშეკრულების შეცვლამ გაზის გაძვირებაც არ უნდა გამოიწვიოს, რადგან ჩვენ ძირითადად აზერბაიჯანიდან ვიღებთ გაზს. ამიტომ შანტაჟი და კატასტროფა გამორიცხულია. რა თქმა უნდა, გაზპრომსა და რუსეთს ამის სურვილი აქვთ, მაგრამ ამას ვერ განახორციელებენ.

***– მაშ, რა არის პრობლემა?***

– ძველი ხელშეკრულებიდან მეტი სარგებელი გვრჩებოდა, ვიდრე ახლა თანხის გადახდის შემთხვევაში დაგვრჩება.

***– მოვისმინეთ შეფასებები, რომ ეს მცოცავი ანექსიაა, რომ რუსეთი ახორციელებს თავის მიზანს და ასე შემდეგ. ამაზე რას იტყვით?***

– გაზის მაგივრად ფულს თუ მივიღებთ, ამაში ანექსია და ოკუპაცია ნამდვილად არ არის. რეალური საფრთხე სულ სხვაგან არის.

***– სად?***

– რეალური საფრთხეა გაქანებული რუსული პროპაგანდა და გაზრდილი კრიმინალი. აი, რა არის რეალური საფრთხე. ჩემი აზრით, დღეს ამაზე აპელირება მესამეხარისხოვან საკითხზე გადართვაა. ქვეყანაში ამ მხრივ მართლაც სერიოზული პრობლემებია.

***– გაზრდილი კრიმინალი რუსეთის ინტერესებთან რა შუაშია?***

– ჩვენი პრობლემა რუსეთი კი არ არის, ჩვენი უთავბოლობაა. ჩვენი უთავობა რომ არ ყოფილიყო, ტერიტორიებსაც ვერ წაიღებდა თავის დროზე. ჩვენს პრობლემებს მივხედოთ და მერე ვიყვიროთ გაზპრომი! დავამშვიდებ მოსახლეობას, რომ ეს კონტრაქტი სერიოზულად ვერაფერს შეცვლის, უბრალოდ, უფრო ნაკლები სარგებელი დაგვრჩება. აქამდე უფრო დიდ ლუკმას ვიღებდით გაზპრომისგან, ახლა შედარებით პატარა ლუკმას მივიღებთ! ეს არის და ეს. რუსეთი არ არის მიჩვეული, რომ მას ეურჩებიან და თავის პირობებს უყენებენ. 15 წელი ამას როგორღაც ვახერხებდით, მაგრამ კალაძემ წელს ველარ მოახერხა. თუ რატომ, ეს დეტალები არ ვიცი!

***– ამით რის თქმა გინდათ, რომ სააკაშვილის ხელისუფლება უკეთესად ახერხებდა გაზპრომთან ლაპარაკს, ვიდრე კალაძე?***

– ესენიც ახერხებდნენ ორი წლის განმავლობაში, მაგრამ ახლა რა მოხდა, არ ვიცი, თუმცა, სააკაშვილი რომ უფრო პრობლემატური იყო რუსეთისთვის, ესეც ფაქტია. ეს ხელისუფლება უფრო დამთმობია და, ცხადია, მათ ეს უფრო მოსწონთ. ფაქტია, რომ დღეს გაზპრომი გაცილებით ნაკლებს მოგვცემს, ვიდრე აქამდე ვიღებდით. ეს ხელშეკრულება წამგებიანია.



***– რამდენად ჩაეთვლება ეს მინუსში კახი კალაძეს?***

– სადაც ახლა ლარი 2,75-ზეა ასული და მთავრობა არ დაქცეულა ამის გამო, ხალხი ქუჩაში არ გამოსულა, არა მგონია, კალაძე გადააყოლონ ამას.

* * *

პარლამენტის დეპუტატ **რევაზ არველაძის** განცხადებით, ხელშეკრულების შეცვლა განაპირობა იმან, რომ გაზპრომმა შეცვალა მოთხოვნები და მოითხოვა იმაზე მეტი, ვიდრე ადრე ითხოვდა.

– გაზპრომმა გააძლიერა ირანიდან სომხეთისკენ მიმავალი გაზსადენის გამტარუნარიანობა და უკვე შეუძლია, სომხეთის გარკვეული ნაწილი, დაახლოებით ნახევარი, დააკმაყოფილოს. ამიტომ დააყენა ასე საკითხი: თუ თქვენ არ გინდათ, თქვენი ქვეყნიდან ვატაროთ გაზი, მაშინ საერთოდ გავწყვიტოთ ეს ხელშეკრულება და მომავალი წლიდან მე დავიწყებ მთლიანად ირანიდან მიწოდებასო.

***– ანუ ქართული მხარე ჩიხში შევიდა, სხვა გზა არ ჰქონდათ?***

– სხვა გამოსავალი არ იყო, ან უნდა მოგვეწერა ხელი ამგვარ ხელშეკრულებაზე, ან – არა. თავისთავად ცხადია, პირველადი ხელშეკრულება რაც იყო გაზპრომის მხრიდან, ქართულ მხარეს არ აწყობდა, ამიტომ იყო მოლაპარაკების რამდენიმე რაუნდი, რომ მაქსიმალურად მიეღწია საქართველოს მხარეს მისთვის მომგებიანი ვარიანტისთვის.

***– რამდენად გამოვიდა მომგებიანი ვარიანტი?***

– ალბათ, გამოვიდა. როგორც ბატონმა კახა კალაძემ განაცხადა, ამ ახალი კონტრაქტის ეკონომიკური შედეგი დიდად განსხვავებული არ იქნება იმასთან შედარებით, რაც ადრე იყო.

***– რამდენად ფარავს შემოთავაზებული თანხა იმ ბუნებრივი აირის ღირებულებას, რომელსაც უფასოდ ვიღებდით გაზპრომისგან?***

– ფაქტია, სრულად ვერ დაფარავს. მაშინ რა აზრი ჰქონდა რუსეთის მხრიდან, რომ დაეყენებინა ეს საკითხი, თუკი იმავე რაოდენობის საფასურს მოგვცემდნენ?! ალბათ, ვერ ფარავს, მაგრამ აქ საქმე ცოტა სხვა ამბავშია.

***– რა ამბავში?***

– კიდევ ერთხელ მინდა, შევახსენო საზოგადოებას, რომ ეს საკითხი არ დაყენებულა დღეს და გუშინ ან შარშან. ეს საკითხი წამოიჭრა ჯერ კიდევ 20 წლის წინ, 1996 წელს. მაშინ გაზპრომი საერთოდ არ იყო ამ საკითხში ჩართული. ეს საკითხი იმ დროს სომხეთმა დაგვიყენა ამერიკის შეერთებული შტატების საშუალებით. ისინი გვეუბნებოდნენ, არ შეიძლება, ამხელა პროცენტი იყოს დატოვებული ნატურით ასეთ მოკლე მონაკვეთზეო, თუმცა ჩვენ მაშინ შევძელით ამ მხარეების დარწმუნება, რადგან გაზსადენი გაუმართავი იყო, დანაკარგიც – დიდი. დღეს ეს ქსელი მთლიანად გამართულია და დანაკარგიც ათჯერ არის შემცირებული. აქედან გამომდინარე, რუსეთის მხრიდან ამ საკითხის დაყენება ლოგიკას მოკლებული არ არის.

***– რა თანხას უხდის გაზპრომი ქართულ მხარეს?***

– ეს კონფიდენციალური საკითხია. გაზპრომი ამბობს, რომ ეს უნდა იყოს კონფიდენციალური, ამიტომ ამ შეთანხმებას ქართული მხარე ვერ დაარღვევს. ჩვენ არა გვაქვს უფლება, ეს მონაცემები გავასაჯაროოთ. ეს რომ ვიცოდე, მაშინ დავიანგარიშებდი და ზუსტად გეტყოდით, რამდენია სხვაობა. რადგან გამოაცხადა მინისტრმა, რომ დიდი სხვაობა არ არის, ნამდვილად ვენდომი მის სიტყვებს.

***– შეცვლილი ხელშეკრულება ბუნებრივი ტარიფის გაზრდას ხომ არ გამოიწვევს?***

– პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ – არა! ყველაზე ცუდ შემთხვევაში, ეს გაზის ტარიფში შეიძლება ჩაჯდეს ნახევარი თეთრის სიდიდით, რაც არავითარ ცვლილებას არ გამოიწვევს. გაზის ფასის ცვლილებას გამოიწვევს ლარის კურსი!

# როგორ მოხდება სესხების გალარება

## ეროვნულმა ბანკმა პროგრამის დეტალები გამოაქვეყნა

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სესხების გალარების პროგრამის დეტალები გამოაქვეყნა.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით, პროგრამა ოფიციალურად 2017 წლის 17 იანვრიდან ამოქმედდება. მისი მიზანია მომხმარებლებისთვის სესხის მომსახურების ტვირთის შემსუბუქება, რაც გაცვლითი კურსის ცვლილებამ განაპირობა.



პროგრამა ითვალისწინებს ფიზიკური პირების უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი აშშ დოლარით დენომინირებული საბანკო სესხების ნებაყოფლობით გალარებას ბანკსა და კლიენტს შორის შეთანხმების საფუძველზე.

გალარების პროგრამა შეეხება მხოლოდ საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირების (მათ შორის ინდმეწარმეების) უძრავი ქონებით სრულად ან ნაწილობრივ უზრუნველყოფილ აშშ დოლარის მიმდინარე სესხებს, რომელთა წარმოშობა მოხდა 2015 წლის 1 იანვრამდე.

ასეთი სესხის სუბსიდირება მოხდება 40 ათასი აშშ დოლარის ფარგლებში, ანუ თუ სესხის ნარჩენი ღირებულება არის 60 ათასი, მოხდება 40 ათასის სუბსიდირება. დარჩენილი 20.000, მსესხებლის გადაწყვეტილების მიხედვით, ან კვლავ სავალუტო სესხად დარჩება ,ან მოხდება მისი გალარებაც სუბსიდირების გარეშე.

სუბსიდია არ შეეხება მათ, ვისი სესხების ძირითადი თანხების ჯამური დავალიანება, 2016 წლის 28 ნოემბრის მდგომარეობით, გამლარებელ ან სესხის გადატანის შემთხვევაში, იმ ბანკში, საიდანაც სესხის გადატანა ხდება, აღემატება 100 ათას აშშ დოლარს.

ასევე, სუბსიდია არ შეეხება იმ პირებს, რომელთა წლიური შემოსავალი 2015 წელს 100.000 ლარს აღემატებოდა.

მთავრობა უზრუნველყოფს შეღავათიანი კურსით სესხების გალარების ხარჯების სუბსიდირებას, ეროვნული ბანკი კი კომერციულ ბანკებს მიაწვდის გალარებისთვის საჭირო აშშ დოლარს და მოახდენს ლარის ლიკვიდობით მხარდაჭერას.

პროგრამა არ ითვალისწინებს ბანკების მიერ დამატებითი ხარჯების გაწევას. ბანკები ვალდებულნი არიან ამ პროგრამის შესახებ აცნობონ ყველა მსესხებელს, რომელმაც ამ დახმარებით შეიძლება ისარგებლოს და შესთავაზონ მათ თავიანთი პირობები.

მსესხებელს ექნება საშუალება, შეთავაზებული პირობებიდან გამომდინარე, თავად გადაწყვიტოს, რომელ ბანკში ურჩევნია სესხის გალარება. ამის ხელშეწყობისთვის ეროვნული ბანკი გააუქმებს სესხის წინასწარ დაფარვის საკომისიოს.

* * *

– 17 იანვარს საბანკო სექტორი სესხების გალარების პროგრამის დაწყებას მომზადებული ხვდება.

ამის შესახებ თიბისი ბანკის გენერალურმა დირექტორმა ვახტანგ ბუცხრიკიძემ ჟურნალისტებთან გალარების სამთავრობო პროგრამის დაწყებასთან დაკავშირებით განაცხადა.

– ყველა კითხვაზე, რომლებიც საბანკო სექტორს ჰქონდა, ამომწურავი პასუხია გაცემული, – განაცხადა ვახტანგ ბუცხრიკიძემ და აღნიშნა, რომ საპროცენტო განაკვეთები ლარში გაცემულ საბანკო პროდუქტებზე, ალბათ, დარჩება იმ საზღვრებში, რაც არის დღეს.

* * *

ბანკების ასოციაციის პრეზიდენტი ზურაბ გვასალია მიიჩნევს, რომ სესხების გალარება მნიშვნელოვანია როგორც მოსახლეობისთვის, ისე საბანკო სექტორისთვის და ქვეყნისთვისაც.

როგორც გვასალიამ საკითხის კომენტირებისას განაცხადა, გალარება კურსზე რაღაც კუთხით ზეწოლასაც მოხსნის.

– გალარების შედეგებზე საუბარი ჯერ ნაადრევია. ეს დაახლოებით 33 ათას ადამიანს ეხება, თუმცა რა რაოდენობის ადამიანი გააკეთებს ამას, ამის პროგნოზირება რთულია. რაც შეეხება მოსახლეობას, მინდა მივმართო, საბანკო სექტორიდან შეტყობინებები, ბუნებრივია, იქნება, თუმცა, თუ ისინი ჩათვლიან, რომ ამ პროგრამის მონაწილეები არიან, მაგრამ შეტყობინება არ მიიღეს, შეუძლიათ, თავად მიაკითხონ ბანკებს და იქ მიიღებენ ყველა ახსნა-განმარტებას, – განაცხადა ზურაბ გვასალიამ.

მან თქვა, რომ თავად აუცილებლად გააკეთებდა გალარებას, რადგან სავალუტო რისკი ძალიან დიდია ჩვენი ტიპის ქვეყანაში.

– შეიძლება, ეს ლარიზაციის პროგრამის დიდი ნაწილი არ იყოს, მაგრამ რაღაც ნაწილი არის. ის, რომ სავალუტო რისკი იყოს მოხსნილი მოსახლეობისთვისაც, მნიშვნელოვანია, საბანკო სექტორისთვისაც და ქვეყნისთვისაც, რადგან ეს რაღაც ნაწილში კურსზე მოხსნის ზეწოლას. მე მაქვს მოლოდინი, რომ შედეგი მოსახლეობისთვის უნდა იყოს კარგი, – აღნიშნა გვასალიამ.

რაც შეეხება გავრცელებულ ინფორმაციას, რომ, შესაძლოა, პრეზიდენტმა კანონპროექტს ვეტო დაადოს, გვასალიამ აღნიშნა, რომ ასე არ არის და პრეზიდენტისა და ექსპერტების შეხვედრაზე ამ თემაზე საუბარი არ ყოფილა.

– იქ არის საკითხები, რომლებიც შეიძლება შესწორდეს, თუმცა ეს შეიძლება ეროვნული ბანკის მიერ გასწორდეს, ამას არ სჭირდება საკანონმდებლო ინიციატივები, ეს შეიძლება ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებებითაც გასწორდეს. ვეტოზე საუბარი არ არის, – აღნიშნა გვასალიამ.

**ბიპიენი**

# თებერვლიდან ბაზარზე ქართული წარმოების ზეითუნის ზეთი და მარინადი გამოჩნდება

თებერვლის შუა რიცხვებიდან სავაჭრო ქსელში უმაღლესი ხარისხის ქართული წარმოების ზეთისხილის ზეთი და მარინადი გამოვა.

ამის თაობაზე ბიზნესპრესნიუსს ფირმა „ჯეოლაივის“ მთავარი კოორდინატორი ალექსანდრე ჩახნაშვილი ესაუბრა.



– ეს იქნება სიღნაღის რაიონის სოფელ საქობოში მოწეული ზეთისხილი. სიღნაღში ზეთისხილის პლანტაციები 150 ჰექტარზე გვაქვს გაშენებული. ყველაფერი მზად არის, უბრალოდ, ზეთისხილსა და ზეითუნის ზეთს საბოლოო სახის მისაღებად დრო სჭირდება.

ზეთისხილი უკვე დაწმენდილი და დამარინადებული გვაქვს. ახლა ზეთის ბუნებრივ დაწმენდას ველოდებით, მარინადს ქილებში გადავიტანთ, ხოლო ზეითუნის ზეთს ბოთლებში ჩამოვასხამთ და ჩვენი პროდუქცია სარეალიზაციოდ მზად იქნება, – აღნიშნა „ჯეოლაივის“ წარმომადგენელმა.

ალექსანდრე ჩახნაშვილის თქმით, ქართული წარმოების ზეთისხილი და ზეთი სავაჭრო ქსელში თებერვლიდან გამოჩნდება.

– ჩვენი პროდუქციის საცდელი პარტია ბაზარზე თებერვლის შუა რიცხვებში გამოვა. დავაკვირდებით, როგორ გაიყიდება და ამის მიხედვით განვსაზღვრავთ, შევძლებთ თუ არა წარმოების კიდევ უფრო გაფართოებას.

საერთოდ, ზეითუნის ზეთი არსებობს ცივად გამოხდილი, რომელიც უმაღლესი ხარისხისაა და ჩვეულებრივი წესით დამზადებული, რომელიც შედარებით დაბალი ხარისხისაა. ჩვენ მიერ წარმოებული ზეთი უმაღლესი ხარისხისაა. იგივე უნდა ვთქვა მარინადზე, რომელიც მაღალი ხარისხის ზეთისხილის ნაყოფისგან იქნება დამზადებული, – განაცხადა „ჯეოლაივის“ წარმომადგენელმა.

**ხათუნა ჩიგოგიძე, ბიპიენი**

# გურამ რჩეულიშვილი პროკურორებს: „ამ საქმეს სიძულვილით ნუ უდგებით“

**– თქვენ ისეთი პირობები შექმენით საავადმყოფოში, რომ ავადმყოფმა ქალმა კლინიკაში დარჩენას საპატიმროში დაბრუნება არჩია.**

**ასე მიმართა „ცენტრ პოინტის“ საქმის ბათუმის მაგნოლიის ეპიზოდის საქმის პროკურორებს გურამ რჩეულიშვილმა.**

„ცენტრ პოინტის“ სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც მოსამართლემ დაცვის მხარის შუამდგომლობა პროცესის გადადებასთან დაკავშირებით არ დააკმაყოფილა.

გურამ რჩეულიშვილმა პროკურორებს მიმართა და ურჩია, ამ საქმეს სიძულვილით არ მიუდგნენ.

– როცა თქვენ ამ საქმეს უდგებით სიძულვილით, არ მგონია, რომ რამე ობიექტური გამოვიდეს აქედან. თქვენ ისეთი პირობები შექმენით საავადმყოფოში, რომ ავადმყოფმა ქალმა კლინიკაში დარჩენას არჩია საპატიმროში დაბრუნება და იქ ყოფნა ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც არის, კერძოდ, არის სუსტად.

მნიშვნელობა არ აქვს, კეთილთვისებიანია თუ არა სიმსივნე. ყველანაირად შეეცადეთ, რომ 60 წლის ქალისთვის შეგექმნათ ისეთი პირობები, რომ დაეტოვებინა საავადმყოფო, სადაც მართლა კარგი პირობებია, არის გადასარევი დაწესებულება და დაბრუნებულიყო კამერაში, რომელიც მაიას დღევანდელ მდგომარეობას უფრო გაუსაძლისს ხდის.

მესმის, რომ რასაც ჩაგძახებენ, იმას ამოსძახებთ, მაგრამ ზიზღი რა საჭიროა. თქვენს სახეზე ვხედავ ამ ზიზღს. მგონია, რომ სუბიექტური ზიზღი გაქვთ და ვერ ვხვდები, რატომ. თქვენ ვერ განიხილავთ ამ საქმეს, თუ ასე მიუდექით, – განაცხადა გურამ რჩეულიშვილმა.

ბრალდებულმა მოსამართლესაც მიმართა და აღნიშნა, რომ სასამართლო დარბაზში არა იურიდიული ნორმებისა და ფაქტების განხილვა, არამედ ჭორისა და საზოგადოებაში არსებული წინასწარი განწყობების განხილვა მიმდინარეობს.

– ქალბატონო მოსამართლე, როდესაც თქვენ დაუტოვეთ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა დედაჩემს და არ შეუცვალეთ გირაოთი, ამ გადაწყვეტილებაში არაფერი ჰუმანური არ ყოფილა. ქალის მიმართ, რომელიც, კონსტიტუციის თანახმად, ჯერჯერობით უდანაშაულოა, თქვენ წინდაწინ განწყობილი ხართ და ვერდიქტი თქვენს თავში, ალბათ, გამოტანილი გაქვთ და ეს ყველაფერი ფარსია, რაც აქ მიმდინარეობს.

ადამიანი, რომელიც, ასე ვთქვათ, 50%-ით მაინც უდანაშაულოა და ავად არის, თქვენ დატოვეთ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. თქვენი გადაწყვეტილება ცხადყოფს, რომ იურიდიული ნორმებისა და ფაქტების განხილვა კი არ მიმდინარეობს, არამედ ჭორებისა და წინასწარი განწყობების განხილვა მიდის, რაც საზოგადოებაშია და მართლა არაჰუმანურია თქვენი მხრიდან ეს, – აღნიშნა გურამ რჩეულიშვილმა.

❖ ❖ ❖



თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე მაია შოშიაშვილმა არ დააკმაყოფილა დაცვისა და ბრალდებულ მაია რჩეულიშვილის შუამდგომლობა გუშინდელი სასამართლო პროცესის გადადებაზე და სასამართლო განხილვა ბრალდებულის მონაწილეობის გარეშე გააგრძელა. მაია რჩეულიშვილი კი ითხოვდა, რომ სასამართლო პროცესი მისი მონაწილეობის გარეშე არ ჩატარებულიყო, რათა მოწმეების დაკითხვაში მასაც მიეღო მონაწილეობა.

მაია რჩეულიშვილის ადვოკატები მოსამართლის გუშინდელ გადაწყვეტილებას სტრასბურის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრებენ.

როგორ „ცენტრ პოინტის“ დამფუძნებლისა და ხელმძღვანელის ადვოკატმა მარიამ ცუცქირიძემ აღნიშნა, მოსამართლემ მაია რჩეულიშვილს წაართვა კონსტიტუციური უფლება, მონაწილეობა მიიღოს სასამართლო განხილვებსა და საპროცესო მოქმედებებში.

– მოსამართლემ მიიღო ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც ჩემს პრაქტიკაში არასდროს მსმენია. მან, პრაქტიკულად, მაია რჩეულიშვილს წაართვა კონსტიტუციური უფლება, მონაწილეობა მიიღოს საპროცესო მოქმედებებში. ამ გადაწყვეტილებას ჩვენ, რა თქმა უნდა, სტრასბურში გავასაჩივრებთ, ვინაიდან საპროცესო მოქმედებებში მონაწილეობის უფლება მხოლოდ ჩვენი კონსტიტუციით არ არის გარანტირებული, ეს მოთხოვნა არის ევროპულ კონვენციაში. შესაბამისად, ჩვენი სარჩელის შემდეგ ევროპული სასამართლოსგან, ალბათ, იქნება საკმაოდ მკაცრი რეკომენდაცია ბრალდებულის უფლების დარღვევის კუთხით, – განაცხადა მარიამ ცუცქირიძემ.

რაც შეეხება მოწმის, „ცენტრ პოინტ აჭარის“ მთავარი ბუღალტრის ჩვენებას, როგორც ადვოკატმა აღნიშნა, ის არ იყო მაია რჩეულიშვილის მამხილებელი, რადგან მოწმეს არ უთქვამს, რომ მაია რჩეულიშვილი პირადად იღებდა თანხებს და საკუთარ ინტერესებს ახმარდა.

მოწმის ინფორმაციით, მაია და გურამ რჩეულიშვილებმა „თეთრი მაგნოლიას“ მშენებლობისთვის განკუთვნილი დაახლოებით 17 მილიონი ლარი სალაროდან გაიტანეს.

როგორ „ცენტრ პოინტ აჭარის“ მთავარმა ბუღალტერმა დინა სიდამონიძემ აღნიშნა, ბათუმში, „თეთრი მაგნოლიისთვის“ განკუთვნილი თანხები სხვადასხვა ობიექტების მშენებლობასა და მიწის ნაკვეთების შეძენას მოხმარდა.

– დაახლოებით 17 მილიონი გაიტანეს. ამ თანხიდან გურამ რჩეულიშვილმა ნაკლები თანხა გაიტანა, დანარჩენი თანხა კი მაია რჩეულიშვილმა გაიტანა. ამ თანხებით ხდებოდა სხვადასხვა ადგილებზე მიწების შეძენა და ასევე ხმარდებოდა სხვადასხვა ობიექტებს, მათ შორის რესტორნის მშენებლობას, – განაცხადა დინა სიდამონიძემ.

# რატომ დააკავეს „გირო კრედიტის“ დირექტორი

შინაგან საქმეთა სამინისტრო ინდოეთის მოქალაქის დაყაჩაღების საქმეზე და შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტის“ დირექტორთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მე-7 განყოფილებამ მიმდინარე წლის 10 იანვარს დაიწყო გამოძიება ინდოეთის მოქალაქის, გ.მ.-ს დაყაჩაღების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით.

– დაზარალებულის განმარტებით, დანაშაულის ჩამდენი პირი მას თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირის 31-ში მდებარე შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტის“ ლომბარდში შეჰყვა, სადაც გ.მ.-მ 100 აშშ დოლარი შესაბამისი ოდენობის ლარზე გადაცვალა. გამოსვლისას უცნობმა პირმა დანის მუქარით გ.მ.-ს ფული მოსთხოვა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

მომხდარის შესახებ დაზარალებულმა პოლიციას შეატყობინა. სამართალდამცველებმა შეტყობინების შემოსვლისთანავე მოახდინეს ოპერატიული რეაგირება.

## შსს: „გიორგი გუმბერიძეს ალკოჰოლური თრობა დაუდგინდა“



გამოკითხვისას გ.მ.-მ დეტალურად აღწერა, სავარაუდოდ, დამნაშავე პირი და აღნიშნა, რომ უცნობი მამაკაცი მას მიკროსაფინანსო ორგანიზაციიდან გამოჰყვა. პოლიცია ტელეფონის საშუალებით დაუკავშირდა შპს-ს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტის“ დირექტორ გ.გ.-ს და, კანონის შესაბამისად, საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში, სათვალთვალო ვიდეოკამერების ჩანაწერების გადმოცემა სთხოვა, რაზეც გ.გ.-მ უარი განაცხადა.

ამის შემდეგ სამართალდამცველებმა ვითარების უკეთ ასახსნელად გ.გ.-ს საცხოვრებელ ბინაში მიაკითხეს. ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფი გ.გ. პოლიციელებს სადარბაზოში შეხვდა. იგი სამართალდამცველებს ცინიკურად ესაუბრებოდა და ჩანაწერების გადაცემაზე უარს აცხადებდა. პოლიციელებმა გ.გ.-ს წარუდგინეს პროკურორის დადგენილება – „გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე კომპიუტერულ სისტემაში არსებული ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ“ და აუხსნეს, რომ მათი მოთხოვნა სრულიად კანონიერი იყო. ასევე, განუმარტეს, რომ საგამოძიებო მოქმედებასთან დაკავშირებით პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, შეეძლო, გაესაჩივრებინა იგი ზემდგომ პროკურორთან ან ედავა სასამართლოში.

მიუხედავად ამისა, გ.გ. არ დაემორჩილა სამართალდამცველთა კანონიერ მოთხოვნას და არ მისცა მათ საშუალება, განეხორციელებინათ საგამოძიებო მოქმედებები. გ.გ.-ს და მისი ოჯახის წევრების მხრიდან ადგილი ჰქონდა პოლიციის თანამშრომელთა მიმართ აგრესიას და სიტყვიერ შეურაცხყოფას. მიუხედავად სამართალდამცველთა მხრიდან არაერთგზის მოწოდებისა, რომ გ.გ.-სა და მის ოჯახის წევრებს შეეწყვიტათ აგრესიული და შეურაცხმყოფელი ქმედება, ისინი არ დაემორჩილნენ პოლიციელთა კანონიერ მოთხოვნას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მე-7 განყოფილების თანამშრომლებმა გ.გ. ადმინისტრაციული წესით დააკავეს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის თანახმად და ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მე-7 განყოფილებაში მიიყვანეს. დაკავებული პოლიციის განყოფილებაში სიმთვრალე-სიფხიზლეზე შემოწმდა. მას ალკოჰოლური თრობა დაუდგინდა.

შესაბამისი პროცედურების შემდეგ, გ.გ. თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაიყვანეს. მეორე დღეს იგი გადაყვანილი იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოში, სადაც მის მიმართ მიმდინარეობს ადმინისტრაციული სამართალწარმოება.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტის“ დირექტორის ოჯახის წევრმა პოლიციას ლომბარდში არსებული სათვალთვალო ვიდეოკამერების ჩანაწერები გადასცა, რის შედეგადაც მოხდა სავარაუდო დამნაშავის ვიზუალური იდენტიფიცირება. ამ დროისთვის აღნიშნული პირის დადგენა-დაკავების მიზნით მიმდინარეობს ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებები.

კიდევ ერთხელ განვმარტავთ, რომ დანაშაულის პრევენციისთვის, ასევე, საგამოძიებო მოქმედებების ოპერატიულად განხორციელების მიზნით, აუცილებელია მტკიცებულებების დროულად შეგროვება და რეაგირება. მოვუწოდებთ მოქალაქეებს, ითანამშრომლონ გამოძიებასთან და ნუ შეუშლიან ხელს პოლიციას დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში, – ნათქვამია განცხადებაში.

❖ ❖ ❖

რამდენიმე დღის წინ „გირო კრედიტის“ ხელმძღვანელმა გიორგი გუმბერიძემ პოლიციელები ძალადობასა და არაადამიანურ მოპყრობაში დაადანაშაულა.

# ავარია ხაშურში

## გარდაცვლილია 3 ადამიანი




ხაშურის სოფელ ალთან ავტოსაგზაო შემთხვევას სამი ადამიანი ემსხვერპლა და ორი დაშავდა. გარდაცვლილთა შორის ერთ-ერთი სასულიერო პირია.

როგორც ნიუპოსტს შსს-ში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 4-7 წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით 3 წლამდე.

# ყალბი ფულის გასაღების ფაქტზე 3 პირი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ ყალბი ფულის გასაღების ფაქტზე, სასამართლოს განჩინების საფუძველზე 3 პირი დააკავა.

როგორც ნიუპოსტს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან აცნობეს, გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებულები საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სხვადასხვა სავაჭრო ობიექტში სისტემატურად ასაღებდნენ კუსტარულად დამზადებულ ყალბ კუპიურებს, კერძოდ, ახალი მოდიფიკაციის 50-ლარიან და ძველი მოდიფიკაციის 100-ლარიან ბანკნოტებს.

საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 7-დან 10 წლამდე.

# შსს-მ უკანონო იარაღი და ნარკოტიკი ამოიღო

შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს დეტექტივების განყოფილების თანამშრომლებმა ნარკოტიკული საშუალების, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით 1976 წელს დაბადებული ზ.ძ. თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას მაუზერის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, 6 საბრძოლო ვაზნა და მეტადონის შემცველი სითხე ამოიღეს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს.

# პოლიციელის დაჭრის ბრალდებით 3 პირი დააკავეს



სამართალდამცავებმა პოლიციელის დაჭრაში ბრალდებული პირები დააკავეს.

როგორც ინტერპრესნიუსს შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, შემთხვევიდან რამდენიმე საათში 3 პირი აიყვანეს.

დაკავებულებს ბრალად პოლიციელის დაჭრა ედებათ. საქმეს პროკურატურა იძიებს.

თბილისში, საბურთალოს ქუჩაზე, პოლიციელი 11 იანვარს ღამით დაჭრეს. არსებული ინფორმაციით, პოლიციის თანამშრომელი საბურთალოს ქუჩაზე ფეხით გადაადგილდებოდა, როდესაც დაინახა 3 მოქალაქე, რომლებიც საზოგადოებრივ წესრიგს არღვევდნენ. პოლიციელმა მათ კანონის შესაბამისი მოქმედებებისკენ მოუწოდა, რამაც აღნიშნულ მოქალაქეებში აგრესია გამოიწვია. მათ პოლიციის თანამშრომელს დანით ჭრილობები მიაყენეს.

დაჭრილი პოლიციელი რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# რექს ტილერსონი: „უკრაინას ლეტალური იარაღი აუცილებლად უნდა მივაწოდოთ!“



რექს ტილერსონი ცნობილი ბიზნესმენი და ტრამპის გუნდის ერთ-ერთი მთავარი წევრია. აშშ-ის ახალ პრეზიდენტსაც მისი სახელმწიფო მდივნის პოსტზე დანიშვნა სურს, თუმცა ტილერსონის მიმართ კონგრესში არაერთგვაროვანი განწყობილებაა. დემოკრატები მას ცალსახად უარყოფდნენ, რადგან ის ტრამპის მეგობარია. რესპუბლიკური პარტიის წევრებს კი მისი რუსეთთან სიახლოვე აშფოთებს. ტილერსონის კომპანია რუსეთში ბიზნესს ეწეოდა. ვლადიმერ პუტინმა ის ორდენითაც დააჯილდოვა.

– რუსეთის მიმართ სანქციების შემოღება არა მხოლოდ სისულელე, არამედ ამერიკისათვის საზიანოა! სანქციები აუცილებლად უნდა გაუქმდეს, – აცხადებდა ტილერსონი.

რესპუბლიკური პარტიის წევრები, განსაკუთრებით კი სენატორი მაკეინი, ტილერსონის მიმართ სკეპტიკურად იყვნენ განწყობილნი, თუმცა სახელმწიფო მდივნობის კანდიდატის უკანასკნელმა განცხადებებმა ეჭვები ერთგვარად გააქარწყლა.

– ბიზნესმენი პოლიტიკოსისგან დიდად განსხვავდება. ბიზნესმენის ამოცანა მოგებაა, ამიტომაც სანქციების წინააღმდეგი ვიყავი. პოლიტიკოსი კი სხვა კატეგორიებით ხელმძღვანელობს. მე, როგორც სახელმწიფო მდივნობის კანდიდატი, სანქციების არა მხოლოდ შენარჩუნების, არამედ გაძლიერების მომხრე ვარ! – განაცხადა ტილერსონმა.

ოთხშაბათს ტილერსონი აშშ-ის სენატის წინაშე წარდგა. შეკითხვაზე, როგორი დამოკიდებულება აქვს რუსების ჰაკერული შეტევების მიმართ, მიუგო:

– რუსეთი უნდა დაისაჯოს!

სენატორი რესპუბლიკელები ტილერსონს შეკითხვებს სხაპასხუპით აყრიდნენ. ყველაზე კატეგორიული, ტრადიციულად, ჯონ მაკეინი იყო:

– ბარაქ ობამამ უკრაინას ლეტალური იარაღის მიწოდებაზე უარი განუცხადა! როგორია ამასთან დაკავშირებით თქვენი პოზიცია?

– უკრაინელი ხალხი სამშობლოსთვის იბრძვის. მათ ლეტალური იარაღი აუცილებლად უნდა მივაწოდოთ, – მიუგო ტილერსონმა.

ამავე დროს, მან განაცხადა, რომ რუსი ჰაკერების მოქმედება, საერთაშორისო ტერორიზმის გააქტიურება, ალეპოს სასაკლაო, დონბასის ომი თუ ყირიმის ანექსია ობამას უნიათობის გამო გახდა შესაძლებელი.

– პრეზიდენტმა ობამამ რუსეთის მიმართ თანმიმდევრული ეფექტური პოლიტიკის შემუშავება ვერ შეძლო! – თქვა ტილერსონმა.

სახელმწიფო მდივნობის კანდიდატმა აღნიშნა, რომ ობამას გამო აშშ-ის, როგორც ლიდერის როლი ეჭვქვეშ დადგა.

– ზოგიერთს გაუჩნდა ილუზია, რომ სირია მოგვიგო და შეუძლია, ევროპიდანაც გაგვაძევოს, – განაცხადა მან.

ტილერსონმა ხაზი გაუსვა იმასაც, რომ რუსეთის მიმართ უფრო მკვეთრი პოლიტიკის გატარებაა აუცილებელი.

– დღეისთვის აშშ მსოფლიოში უძლიერესი სახელმწიფოა! ამიტომ, ისე უნდა მოვიქცეთ, როგორც ლიდერს ეკადრება! თუკი ასე მოხდა, მსოფლიოში დაძაბულობა ჩაცხრება, – თქვა ტილერსონმა.

# ტრამპი: „რუსეთთან უფრო ხისტი ვიქნები, ვიდრე ჰილარი!“



დონალდ ტრამპმა პრესკონფერენცია გამართა. შეკითხვაზე, როგორ აფასებს გფბ-ს დირექტორის განცხადებას, რუსები თქვენზე კომპრომატს აგროვებდნენო, მიუგო:

– მე საეჭვო გარიგებები არავისთან არასოდეს მქონია, მუდამ პატიოსანი ბიზნესმენი ვიყავი. ჩემზე კომპრომატიც არ არსებობს და მას, უბრალოდ, ვერ შეაგროვებდნენ!

აშშ-ის ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა განაცხადა, რომ პრესაში მის წინააღმდეგ გაჩაღებული კამპანია ამერიკის ამჟამინდელი სპეცსამსახურების ნახელავია. კერძოდ, სპეცსამსახურები დგანან იმ ჟურნალისტების უკან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ რუსები ტრამპზე კომპრომატებს აგროვებენ.

– ძალიან ბინძური მეთოდებით მებრძვიან! ასეთი რამ ჰიტლერულ გერმანიაშიც კი არ ხდებოდა! – თქვა ტრამპმა.

მან კვლავ განაცხადა, რომ მისი მიზანი რუსეთთან კარგი ურთიერთობების დამყარებაა, თუმცა, ხაზი გაუსვა, რომ ეს ამერიკის ინტერესების დათმობის ხარჯზე არ მოხდება. აშშ არცერთ თავის მოკავშირეს არ უღალატებს. ახალ მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტზე ან გავლენის სფეროების გადანაწილებაზე ლაპარაკიც კი დაუშვებელია.

– თუკი აუცილებელი გახდა, რუსებთან ხისტიც ვიქნები, ბევრად ხისტი, ვიდრე ჰილარი! – თქვა ტრამპმა.

ტრამპის ბრალდებებმა ამერიკული სპეცსამსახურების ხელმძღვანელები აღაშფოთა. ნაციონალური დაზვერვის შეფმა კლეპერმა განაცხადა, რომ ტრამპს პირადად შეხვდა და აუხსნა: ამერიკული სპეცსამსახურები პოლიტიკაში არ ერევიან. ისინი ემსახურებიან ქვეყანას და არა რომელიმე პარტიას, შესაბამისად, პრესაში გაჩაღებულ კამპანიასთან კავშირი არ აქვთ.

– ასეთი ბრალდებები ჩვენს ღირსებას შეურაცხყოფს! ღირსება კი ამერიკელი მზვერავისა თუ კონტრმზვერავისთვის უპირველესია, – თქვა კლეპერმა.

# ლატვიაში ესპანელ ჯარისკაცებს ელიან




ლატვიის თავდაცვის მინისტრმა ბერგმანისმა განაცხადა, რომ საერთაშორისო მდგომარეობა მკვეთრად დაიძაბა. ეს მან დონბასში გამწვავებულ მდგომარეობას დაუკავშირა.

– უკრაინელებით აღფრთოვანებული ვარ. მათ უმაგალითო ვაჟკაცობა გამოიჩინეს და რუსეთს დიდი ზიანი მიაყენეს, თუმცა მედალს მეორე მხარეც აქვს, – ამბობს ბერგმანისი.

ლატვიის თავდაცვის მინისტრმა აღნიშნა, რომ ომის შედეგად დონბასში მთელი ეკონომიკა და ინფრასტრუქტურა განადგურდა. მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომელიც რუსეთისადმი ლოიალურად იყო განწყობილი, იძულებულია, რეგიონი დატოვოს. რუსების მცდელობა, სეპარატისტების მიერ კონტროლირებადი ზონა გაეფართოებინა, მარცხით დამთავრდა. რუს ჯარისკაცებს შორის დიდი მსხვერპლია. ამას რუსეთში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებაც დაერთო. ქვეყნის სარეზერვო ფონდი ხუთჯერ შემცირდა და, თუკი ასე გაგრძელდა, უკვე 2017 წლის დეკემბრისთვის პუტინის მთავრობა ხელფასების გაცემასაც ველარ შეძლებს.

– ნურავის ჰგონია, რომ ამით რუსეთის დამარცხებას შეძლებს ან აიძულებს მას, უკან დაიხიოს! პირიქით, რუსეთი უფრო აგრესიული და ნაკლებ პროგნოზირებადი გახდება. კუთხეში მიმწყვდეული ვირთხა ხომ ძალიან საშიშია! – თვლის ბერგმანისი.

ლატვიის თავდაცვის მინისტრი ხაზს უსვამს, რომ უკრაინის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ინტერვენციის განხორციელება დაიწყება. დასავლეთიც იძულებული გახდება, ამაში ჩაერიოს, რადგან უკრაინაში ბევრი ატომური ელექტროსადგურია. რუსეთ-უკრაინას შორის ომი ბირთვულ კატასტროფას ნიშნავს, რუსეთ-ევროპის სამხედრო დაპირისპირება კი კონტინენტური ომის დაწყების მომასწავებელია.

ასეთი სიტუაცია ბალტიისპირეთს სასიკვდილო საფრთხის წინაშე აყენებს.

– ალბათობა იმისა, რომ ნაცემი, დამშეული, დასისხლიანებული, მაგრამ გაბოროტებული რუსული არმია ბალტიაში შემოიჭრება, მატულობს. რუსეთი ჩვენზე ძლიერია. ლატვიის ოკუპაცია მას 24 საათში შეუძლია. თუკი ეს მოხდა, რუსები ბართლომეს ღამეს მოგვიწყობენ! – ამბობს ბერგმანისი.

ლატვიის მთავრობამაც ქვეყანაში დისლოცირებული ნატოს სამხედრო კონტინგენტის გაზრდა მოითხოვა. ნატოს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ლატვიაში დამატებით 300 ესპანელ ჯარისკაცს გაგზავნიან.

– ესპანელების ჩამოსვლას მოუთმენლად ველით. ნატო ჩვენი დამოუკიდებლობისა და უსაფრთხოების ერთადერთი გარანტია, – თქვა ბერგმანისმა.

# სვეტლანა ალექსიევიჩმა რუსული პენცენტრი დატოვა



ცნობილმა ბელარუსმა მწერალმა და ნობელის პრემიის ლაურეატმა სვეტლანა ალექსიევიჩმა რუსული პენცენტრი დატოვა.

ჟურნალისტებთან ინტერვიუში მან განაცხადა, რომ რუსულმა პენცენტრმა თავისუფლების იდეალებს გადაუხვია და პუტინის ხელისუფლების კონტროლქვეშ იმყოფება.

– მათ უარი განაცხადეს, დაეგმოთ რუსეთის მიერ დონბასის ომის გაჩაღება, ყირიმის ანექსია, უკრაინელი რეჟისორის სენცოვის შეთითხნილი ბრალდებით დაპატიმრება. მე ასეთ ორგანიზაციაში არაფერი მესაქმება! – თქვა ალექსიევიჩმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## განცხადებები

### მომსახურება

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 260 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

### მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

## საჯარო შეტყობინება

**თქვენ, მოპასუხე შპს „GEO-FORM DESIGN“ (ს.კ. 404429472), მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟი „სამართალი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 204460270) საჯარო შეტყობინების გზით გაბარებთ მოსარჩელე შპს „დიდუბე სიტის“ საარბიტრაჟო პრეტენზიას თანდართული მასალებით და საარბიტრაჟო უწყებას, რომლის თანახმად, შპს „დიდუბე სიტის“ საარბიტრაჟო სარჩელი, საქმე №1-02-2016, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილება 2017 წლის 23 იანვარს, 19 საათზე, მისამართზე: ქ.თბილისი, ბარნოვის ქუჩა №8, ბინა 17.**

**ამავე მისამართზე თქვენ შეგიძლიათ გაეცნოთ და მიიღოთ შპს „დიდუბე სიტის“ მიერ წარმოდგენილი ზემოხსენებული დოკუმენტები.**

# საქართველოს ნაკრებმა 3 ადგილი დაკარგა

გამოქვეყნდა ფიფა/კოკა-კოლას ახალი რეიტინგი, სადაც საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები 2016 წლის დეკემბერთან შედარებით 3 საფეხურით დაქვეითდა. სადღეისოდ, ჩვენს ნაკრებს რეიტინგში 121-ე ადგილი უკავია.

პირველი ათეული უცვლელია: რეიტინგის ლიდერი კი კვლავ არგენტინაა, მე-2 ადგილზე ბრაზილიაა, ხოლო მე-3-ზე – გერმანია.

პირველი ათეული, რომელშიც 5-5 გუნდია წარმოდგენილი სამხრეთ ამერიკისა და ევროპის კონტინენტისგან, ასე გამოიყურება:

1.არგენტინა – 1.634 ქულა; 2.ბრაზილია – 1.544; 3.გერმანია – 1.433; 4.ჩილე – 1.404; 5.ბელგია – 1.368; 6.კოლუმბია – 1.345; 7.საფრანგეთი – 1.305; 8.პორტუგალია – 1.229; 9.ურუგვაი – 1.187; 10.ესპანეთი – 1.166

რაც შეეხება საქართველოს ნაკრების მეტოქეებს მსოფლიო 2018 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის დ ჯგუფში: უელსი კვლავ მე-12 ადგილს იკავებს. პოზიციები შეინარჩუნეს ირლანდიამ (23-ე) და ავსტრიამ (31-ე). ერთი ადგილით დაქვეითდა სერბეთი და 45-ე ადგილი უჭირავს, ხოლო მოლდოვამ 2 ადგილი დაკარგა და 164-ე პოზიციაზეა.

# ლევან მჭედლიძემ ისევ ტრავმა მიიღო



ემპოლის ქართველმა ფორვარდმა ლევან მჭედლიძემ თავისი გუნდის ვარჯიშზე მცირე ტრავმა მიიღო, რის შემდეგაც მან ვარჯიში სხვებზე ადრე დაასრულა.

როგორც გაირკვა, ლევანს კოჭზე მცირე დაზიანება აქვს, თუმცა ტრავმა სერიოზული არ არის და, შესაძლოა, მჭედლიძე თავის გუნდს უკვე შემდეგ შეხვედრაში ატალანტის წინააღმდეგ დაეხმაროს.

აღსანიშნავია, რომ მჭედლიძეს ხშირად აწუხებს ტრავმები და წინა სეზონში მას ამის გამო ხანგრძლივი პერიოდიც გაუცდა. ბოლო მატჩებში ქართველმა ფორვარდმა რამდენიმე გოლი გაიტანა და ის საკმაოდ კარგ ფორმაშია.

ემპოლის მჭედლიძის გოლები ძალიან სჭირდება, რადგან გუნდი სერია ა-ში დარჩენისთვის იბრძვის.

# ნეიმარმა 11-მატჩიანი უგოლო სერია შეწყვიტა



ბარსელონის ბრაზილიელმა ფორვარდმა ნეიმარმა 11-მატჩიანი უგოლო სერია შეწყვიტა, რომელიც ოქტომბრის შემდეგ გრძელდებოდა. ნეიმარი ამ ხნის განმავლობაში ვერ ახერხებდა გოლის გატანას, თუმცა მის ანგარიშზე ბევრი საგოლე გადაცემაა.

ნეიმარმა სერია ბილბაოს ატლეტიკის წინააღმდეგ შეწყვიტა, როდესაც შეხვედრის მეორე ტაიმში მან პენალტი ზუსტად შეასრულა. ბარსელონამ შეხვედრა 3:1 მოიგო და ესპანეთის თასის მეოთხედფინალში გავიდა.

გარდა გატანილი გოლისა, ნეიმარმა ატლეტიკთან საგოლე გადაცემაც გააკეთა. ბრაზილიელს კიდევ რამდენჯერმე შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ იღბალმა ზურგი აქცია.

# ადამ ლალანათი ევროპული გრანდები დაინტერესდნენ



ლივერპულის ნახევარმცველი ადამ ლალანა ევროპული გრანდების ინტერესის სფეროში მოექცა.

ლალანა წლევანდელ სეზონში ლივერპულის ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშეა, ამიტომ მისი ყიდვა ბარსელონამ და პსჟ-მ გადაწყვიტეს.

ეს გუნდები მზად არიან, ლალანას ტრანსფერში სოლიდური თანხა გადაიხადონ, თუმცა კონკრეტული წინადადებით მათ ლივერპულისთვის ჯერ არ მიუმართავთ.

რაც შეეხება თვითონ ლალანას, მან განაცხადა, რომ ლივერპულში ბედნიერია და გუნდის დატოვებას არ აპირებს.

ლალანა ლივერპულში 2015 წელს გადავიდა. მანამდე ის საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში საუთჰემპტონის ღირსებას იცავდა.

# არსენალმა ფრანგ ფეხბურთელებთან კონტრაქტი გაახანგრძლივა

ლონდონის არსენალმა ფრანსის კოკლენთან და ოლივიე ჟირუსთან შეთანხმებას მიაღწია ახალი 3-წლიანი კონტრაქტის შესახებ, რომელსაც ხელს ფრანგი ფეხბურთელები რამდენიმე დღეში მოაწერენ.

არსენალის მწვრთნელმა არსენ ვენგერმა განაცხადა, რომ ეს ფეხბურთელები მისი გუნდის წარმატებაში დიდ როლს თამაშობენ, ამიტომ ის ბედნიერია, რომ მოლაპარაკებები შედგა.





ერთი პერიოდი აქტიურად ვრცელდებოდა ხმები, თითქოს ოლივიე ჟირუ არსენალიდან წასვლას აპირებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ჟირუმ აზრი შეიცვალა.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# შედეგები

**11 იანვარი**

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| კოტ დივუარი-უგანდა | 3:0 |
| კონგო-სენეგალი | 0:2 |
| ხორვატია-ჩილე | 1:1(1:4პ) |
| **ინგლისი. ლიგის თასი** | |
| საუთჰემპტონი-ლივერპული | 1:0 |
| **ესპანეთი. სამეფო თასი** | |
| ალავესი-დეპორტივო | 1:1 |
| ვილიარეალი-სოსიედადი | 1:1 |
| კორდობა-ალკორკონი | 1:2 |
| ბარსელონა-ბილბაო | 3:1 |
| **ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი** | |
| მურსია-ლევანტე | 0:2 |
| **იტალია. თასი** | |
| ფიორენტინა-კიევო | 1:0 |
| იუვენტუსი-ატალანტა | 3:2 |
| **საფრანგეთი. ლიგის თასი** | |
| ბორდო-გენგამი | 3:2 |
| პსჟ-ნიცა | 2:0 |

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ვლადიმირ ვაისმა შემადგენლობა დაასახელა



საქართველოს ეროვნული ნაკრები იანვარში 2 ამხანაგურ მატჩს გამართავს. ვლადიმირ ვაისის გაწვრთნილი გუნდი 23 იანვარს დუბაიში უზბეკეთის ნაკრებთან ითამაშებს, ხოლო 25 იანვარს – იორდანიის ნაკრებთან.

ლეგიონერი მხოლოდ ოთხია: დავით ხოჭოლავა, უჩა ლობჟანიძე, ვლადიმერ დვალიშვილი და ლაშა შერგელაშვილი.

იმ ფეხბურთელთა სრული სია, ვინც უზბეკეთისა და იორდანიის ნაკრებებთან სათამაშოდ მოემზადება, ასეთია:

**მეკარეები**: როინ კვასხვაძე (ტორპედო), ომარ მიგინეიშვილი (სამტრედია), ოთო გოშაძე (საბურთალო);

**მცველები**: თორნიკე გრიგალაშვილი (ჩიხურა), თედორე გრიგალაშვილი (საბურთალო), დავით ხოჭოლავა (ჩერნომორეცი, უკრაინა), გიორგი რეხვიაშვილი (ლოკომოტივი), ლაშა შერგელაშვილი (რიგასი, ლატვია), უჩა ლობჟანიძე (ატირაუ, ყაზახეთი), გიორგი ქიმაძე (ტორპედო);

**ნახევარმცველები**: თეიმურაზ შონია (დინამო ბთ), გიორგი განუგრავა (ჩიხურა), ოლეგ მამასახლისი, ბექა ტუღუში (ორივე ტორპედო), ოთარ კიტეიშვილი, საბა ლობჟანიძე, ბაჩანა არაბული, გიორგი პაპუნაშვილი (ყველა დინამო თბ), გიორგი ხარაიშვილი (საბურთალო);

**თავდამსხმელები**: ვლადიმერ დვალიშვილი (ატირაუ, ყაზახეთი), ბუდუ ზივზივაძე (სამტრედია).

# მარკ იულიანო: „იუვენტუსი მსოფლიოს გრანდთა ხუთეულშია“



იუვენტუსის მაისურს 9 სეზონის (1996-2005) განმავლობაში ატარებდა მარკ იულიანო – ფეხბურთელი, რომელიც კოსენცაში დაიბადა და ტურინელთა რიგებში 4 სკუდეტო, 3 იტალიის სუპერთასი, ევროპის სუპერთასი და საკონტინენტთაშორისო თასი მოიგო.

იულიანო ახლა საფეხბურთო მენეჯერია და ბევრ კარგ ტრანსფერს ჩარხავს. ტურინელთა ყოფილმა ფეხბურთელმა ამჯერად მაქს ალეგრის გუნდზე, მარკო პიაცაზე, პაულო დიბალაზე, ჩემპიონთა ლიგის შანსებსა და სხვა ბევრ საინტერესო თემაზე ისაუბრა.

***– რომელია უფრო ძლიერი – ეს იუვენტუსი თუ გასული წლების იუვე?***

– მე ეს იუვე უფრო მომწონს. ეს გუნდი არის იდეალური, რომელმაც ევოლუცია განიცადა. მართალია, ნაკლებად ლამაზია, ვიდრე წარსული წლების, თუმცა – უფრო პრაქტიკული და მრისხანე.

***– გუნდს მარკო პიაცა დაუბრუნდა. რას ფიქრობთ ხორვატ ფეხბურთელზე?***

– ძალიან მომწონს, თუმცა ვწუხვარ, რომ ტრავმების გამო მისი ხილვა ხშირად არ გვიწევს. უდიდესი ტალანტია, რომელსაც ვუსურვებ, უფრო მეტი ეთამაშოს. მის შესაძლებლობებს სულ მალე ტიფოზერიაც ნახავს.

***– რობერტო ბაჯო პაულო დიბალას შეხვდა. გჯერათ, რომ იუვენტუსი შეძლებს, ბარსელონისა და მადრიდის რეალის წნეხს გაუძლოს?***

– თუ ბაჯომ ამის შესახებ ისაუბრა, მე ვერაფერს დავამატებ. რობერტომ სიმართლე თქვა. ის საკმაოდ ახალგაზრდაა, რომელსაც ფანტასტიკური გზა ელოდება. ის ბრწყინვალე გარემოშია, რათა საკუთარი შესაძლებლობები მაქსიმალურად წარმოაჩინოს. იუვენტუსი ევროპის ერთ-ერთი გრანდია. მას საუკეთესო 4-5 გუნდშიც შევიყვანდი. დიბალა კარგად უნდა დაფიქრდეს, რადგან იუვე არის ადგილი, სადაც ხალხი ჩერდება და არ მიდის.

***– იუვენტუსი შეცდა პოგბას გაშვებით?***

– როგორც იუვენტუსის ტიფოზის, მე სიამოვნებით ვნახავდი ფრანგს ტურინელთა რიგებში, რომელიც გუნდს ჩემპიონთა ლიგაზე დიდ დახმარებას გაუწევდა. ხელმძღვანელობამ საკუთარი არჩევანი გააკეთა და ამაზე ბევრი იფიქრა. იუვეს პოგბას სურვილიც უნდა გაეთვალისწინებინა, რომელსაც მანჩესტერში დაბრუნება სურდა.

***– იუვენტუსს ჩემპიონთა ლიგაზე რამდენად შორს შეუძლია გასვლა?***

– იუვენტუსი ყოველთვის ყველა ჩემპიონატზე გამარჯვებისთვის იბრძვის. ეს მისი დნმ-ია. ამას ისტორიაც მოწმობს. ამ სეზონში არ გამიკვირდება, თუ იუვე დიდ წარმატებას მიაღწევს.

***– მირალემ პიანიჩმა იმედი გაგიცრუათ?***

– არა. ასე ნამდვილად არ არის. პიანიჩსა და პოგბას არ ვადარებ. პირველი მათგანი ფინიშერი უნდა იყოს, რომელიც ფორვარდების უკან იქნება და მათ საქმეს გაუადვილებს, მეორე კი იყო ფეხბურთელი, რომელიც თამაშს ქმნიდა და ჰქონდა ერთი პიესა.

***– სწორად მოიქცა იუვენტუსი ვიტსელის ხელიდან გაშვებით?***

– ჩემთვის ეს სწორი გადაწყვეტილებაა. არიან ფეხბურთელები, რომლებსაც ბევრად უკეთ შეუძლიათ გუნდის გაძლიერება და სიცარიელეების შევსება. მაგალითად, გუნდს სჭირდება მარკო ვერატი ან იმის შენარჩუნება, ვინც უკვე ჰყავს.

# რეალი და იუვენტუსი დონარუმასთვის იბრძოლებენ



სატრანსფერო ბაზარზე ფეხბურთელების შესაძენად დიდი ბრძოლებია მოსალოდნელი. თითქმის ყველა გრანდი აქტიურობს და ხშირად მათი გზები იკვეთება.

მადრიდის რეალი და ტურინის იუვენტუსი აქამდე პრეტენზიას პსჟ-დან მარკო ვერატის შეძენაზე აცხადებდნენ, ახლა კი მათი გზები ჯანლუიჯი დონარუმასთან დაკავშირებით გადაიკვეთა.

ტურინის იუვენტუსი ახალ მეკარეს ეძებს – ჯანლუიჯი ბუფონი უკვე ასაკშია და სულ მალე ბუცებს ლურსმანზე ჩამოკიდებს. შეცვლის თუ არა ერთ ჯანლუიჯის მეორე ჯანლუიჯი, საინტერესოა.

იტალიურ გამოცემებზე დაყრდნობით, ტურინული კლუბი მილანისთვის 40 მილიონი ევროს გადახდას გეგმავს, ახლა კი ჯერი ფლორენტინო პერესზეა, რომელიც ასევე დაინტერესებულია, რომ იტალიელი მეკარე რეალში იხილოს.

აქ მადრიდელებს უპირატესობა გამოუჩნდათ. საქმე ის არის, რომ მატეო კოვაჩიჩზე იტალიის ჩემპიონატიდან დიდი მოთხოვნაა.

იგივე მილანი ხორვატი ახალგაზრდის სანაცვლოდ 35 მილიონ ევროს ჩამოდის. კოვაჩიჩის ხილვა სურს რომასაც, რომლის შეთავაზება უფრო მოკრძალებულია – 27 მილიონი.

ამიტომ ვარაუდობენ, რომ დონარუმა-კოვაჩიჩის შესაძლო ტრანსფერში რეალი მოიგებს, თუმცა მადრიდელთა თავკაცი ზინედინ ზიდანი კოვაჩიჩში ასევე ხორვატის, ლუკა მოდრიჩის ბრწყინვალე შემცვლელს ხედავს, აქედან გამომდინარე, მის გაშვებაზე კატეგორიულ უარს ამბობს.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# რა არის მეორე ტიპის შაქრიანი დიაბეტი



**შაქრიანი დიაბეტი თანამედროვე მედიცინის ერთ-ერთი წამყვანი სოციალური პრობლემაა. ეს ფართოდ გავრცელებული დაავადება იწვევს ნაადრევ ინვალიდიზაციასა და მაღალ სიკვდილიანობას.**

**დიაბეტი XIX საუკუნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და განვითარებადი გამოწვევაა. გლობალურად, დიაბეტით დაავადებული 371 მილიონი ადამიანი ცხოვრობს და 280 მილიონი დაავადების განვითარების მაღალი რისკის ქვეშაა. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტთა შეფასებით, 2030 წლისთვის დიაბეტით დაავადებულთა რიცხვი თითქმის ნახევარ მილიონს მიაღწევს და ეს დაავადება სიკვდილიანობის გამომწვევი მეშვიდე ძირითადი მიზეზი იქნება.**

**რა არის მეორე ტიპის შაქრიანი დიაბეტი და რა შემთხვევაში უკეთდებათ ამ დაავადების მქონე პაციენტებს ოპერაციები, ამ თემებზე თბილისის ცენტრალური საავადმყოფოს წამყვანი ქირურგი, მედიცინის დოქტორი, პროფესორი მამუკა გონჯილაშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრა.**

ეკა ირემაშვილი

**მამუკა გონჯილაშვილი:**

– შაქრიანი დიაბეტის ქირურგიული მკურნალობა მსოფლიოს ბოლო ორი ათწლეულის მონაპოვარია. აქ საუბარია მხოლოდ მეორე ტიპის დიაბეტზე. ეს დაავადება ხალხში გავრცელებულია შეძენილი დიაბეტის სახელწოდებით.

მეორე ტიპის დიაბეტის დროს, როცა ინიშნება ოპერაცია, ამ დროს არ აქვს მნიშვნელობა დაავადების ხანგრძლივობას, გართულებულ შემთხვევებს, იკეთებს პაციენტი ინსულინს თუ არა. თუმცა, რა თქმა უნდა, რაც უფრო დროზე მოვა პაციენტი ქირურგთან, შედეგი უფრო და უფრო უკეთესია.

ბატონმა რამაზ ყურაშვილმა საქართველოში აპარატურა ჩამოიტანა, რომელიც პრედიაბეტს განსაზღვრავს. ადამიანს შეუძლია გაიგოს, დიაბეტის რისკის მატარებელი არის თუ არა. თურქები ამ პერიოდშიც კი უკეთებენ პაციენტებს ოპერაციებს და ძალიან კარგი შედეგები აქვთ.

***– ასაკს აქვს მნიშვნელობა?***

– რა თქმა უნდა, ასაკს მნიშვნელობა აქვს. ძირითადი ასაკი 30 წლიდან 70 წლამდეა, თუმცა 75-78 წლის პაციენტებიც გვყავს.

***– უფრო დაბალ ასაკში?***

– უფრო დაბალ ასაკში მეორე ტიპის დიაბეტი ძალიან იშვიათია, ძირითადად არის პირველი ტიპის დიაბეტი.

მეორე ტიპის დიაბეტის დროს გვყოლია ისეთი პაციენტები, რომლებსაც გართულებებიც ჰქონიათ, პრობლემები მხედველობაზე და ყველა ის ფაქტორი, რომლებსაც დიაბეტი იწვევს. დიაბეტი ითრევს თვალებს, თირკმლებს, იწვევს სისხლძარღვოვან პათოლოგიას, კარდიალურ პრობლემებს. როგორც წესი, დიაბეტს ახასიათებს ერთი ორგანოს ამორჩევა და, სანამ არ მოკლავს, არ ეშვება.

ჩვენ გვყოლია პაციენტები, რომლებსაც ამპუტირებული ჰქონიათ თითები. ამის მიუხედავად, შედეგები გვაქვს ძალიან კარგი. შაქრიანი დიაბეტის ოპერაციული მკურნალობა ცალკე განყენებული კი არ არის, ეს არის ერთ-ერთი მეთოდი. არსებობს კონსერვატიული მეთოდი და არსებობს ოპერაციული მეთოდი.

ოპერაციის შემდეგ, მორფოლოგიურად დადასტურებულია, რომ რა ზიანსაც დიაბეტი აყენებს ორგანიზმს, ჩერდება და აღარ მიდის წინ. პაციენტი ჩვეულებრივი ადამიანების რიგში დგება. რა თქმა უნდა, რაც დაზიანდა, ისე ვერ აღდგება, მაგრამ ორგანიზმი აღარ ზიანდება ისე, რასაც დიაბეტი აკეთებს.

ისეთი ტიპის ოპერაციებია მოგონილი, რომლებსაც მხოლოდ 14 ქირურგი ვასრულებთ მსოფლიოში. ეს არის ნაწლავთა ინტერპოზიცია. ამ შემთხვევაში 95 პროცენტს ზემოთ არის კარგი შედეგები. 100-პროცენტიანი მხოლოდ უფალია. ჩვენ ადამიანები ვართ და 100-პროცენტიანები ვერასდროს ვიქნებით.

თუ პაციენტი შევისწავლეთ და ზუსტად დავუდგინეთ, რომ მეორე ტიპის დიაბეტი აქვს, ოპერაციებს ვაკეთებთ. განსაკუთრებით ეფექტურია ეს ოპერაციები ჭარბწონიან პაციენტებზე. თუ კეთდება გახდომის ოპერაცია, გარკვეულ პაციენტებში აქვს ანტიდიაბეტური ეფექტი, მაგრამ ის რევერსული ეფექტია, 60-70 პროცენტი უკან უბრუნდებათ დიაბეტის სახით, მაგრამ, თუ შესაბამისი ოპერაცია გაკეთდა, როგორც გახდომის, ასევე დიაბეტის და ასეთი ოპერაციები ერთდროულად კეთდება, მაშინ შედეგი ძალიან კარგია.

***– როგორ არჩევთ პაციენტებს, მეორე ტიპის დიაბეტის მქონე ყველა პაციენტისთვის შეიძლება ოპერაცია?***

– ასეთი კვლევა, რაც მეორე ტიპის დიაბეტის პაციენტებს უკეთდებათ, არსად კეთდება. ეს იმიტომ კი არა, რომ დიაბეტს ასე სჭირდება. ჩვენ გარკვეული ტიპის ანალიზებს უცხოეთში ვაგზავნით, იქიდან მოგვდის პასუხები. ეს მხოლოდ იმიტომ კეთდება, რომ პოსტოპერაციული ეტაპი იყოს უსაფრთხო და, დარწმუნებული ვიყოთ, რომ გართულებები არ გვექნება. ამ ტიპის ოპერაციები ერთ-ერთ ყველაზე უსაფრთხო ოპერაციათა სიაში შედის.

ბარიატრიული და მეტაბოლური ქირურგია ერთად არის ასოცირებული, ანუ გახდომისა და დიაბეტური ოპერაციები ერთობლივად კეთდება. როცა ადამიანი არის ჭარბწონიანი და აქვს პრედიაბეტი ან დიაბეტი, უნდა ერჩიოს როგორც ბარიატრიული, ასევე მეტაბოლური შერწყმითი ოპერაცია, რომელიც ერთსაც შველის და მეორესაც.

პაციენტები, რომლებსაც უკვე დადგენილი აქვთ დიაბეტი, არიან ნამკურნალევი და შედეგით ვერ არიან კმაყოფილნი, იმიტომ კი არა, რომ ცუდი მკურნალობა დაენიშნათ, უბრალოდ, ვერ იღებენ იმ შედეგს, როგორიც სურთ, ფიქრობენ ოპერაციაზე. ისინი ვერ იცავენ დიეტას, ცხოვრების წესი არ აქვთ ისეთი, რომ ზუსტად ისე იკვებონ, როგორც საჭიროა. ისე რომ გააკეთონ, როგორც ენდოკრინოლოგი ეუბნება, მიიღებენ შედეგს, მაგრამ არ არის საშუალება, რომ ყველაფერი გამოზომილად დაიცვან. ამ შემთხვევაში ოპერაცია იმის საშუალებას აძლევს, რომ კვებითი დისკომფორტი მოეხსნათ და, როცა დასჭირდებათ, ნაყინიც ჭამონ, შოკოლადიც და ღვინოც დალიონ. ეს ოპერაცია უფრო კომფორტს ქმნის მათ ცხოვრებაში და კვებასთან დაკავშირებულ სირთულეებს აშორებს.

***– თქვენს პაციენტებში მამაკაცები უფრო ჭარბობენ თუ ქალბატონები?***

– უფრო მამაკაცები მოდიან. ქალბატონები შედარებით მოწესრიგებულები არიან, მეტნაკლებად იცავენ რეჟიმს, მამაკაცებს კი ეს უჭირთ.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# 98 წლის იოგას გურუმ საკუთარი ფიზიკური ფორმის საიდუმლო გაამხილა



ნიუ იორკის მცხოვრებმა ისაუბრა იმაზე, თუ როგორ ახერხებს 98 წლის ასაკში შესანიშნავი ფიზიკური ფორმის შენარჩუნებას. ადგილობრივმა მედიამ ქალს მსოფლიოში ყველაზე ხანდაზმული იოგას ინსტრუქტორი უწოდა.

წარმოშობით ინდოელი ტაო პორჩონ-ლინჩი, რომელიც აშშ-ში ცხოვრობს, იოგათი რვა წლის ასაკიდან არის დაკავებული, ხოლო ვარჯიშებს 75 წელია ატარებს. ის თავის ვარჯიშებს დილის ხუთ საათზე იწყებს. მისი თქმით, მთავარია გჯეროდეს, რომ შეუძლებელი არაფერია და საკუთარი თავი პოზიტიურად განაწყო.

– სიცოცხლის სიხარული თავად ჩვენშივე ცხოვრობს, – განაცხადა უხუცესმა გურუმ.

ტაო პორჩონ-ლინჩი მთელ მსოფლიოში მოგზაურობს დოქტორ ტერი კენედის თანხლებით. ამ მოგზაურობების დროს ქალბატონები იოგას გაკვეთილებს ატარებენ და ადამიანებს სავარჯიშოდ განაწყობენ. აღსანიშნავია, რომ იოგას გურუ სამეჯლისო ცეკვებითაც არის დაკავებული. ახალგაზრდულ ასაკში ის მოდის გადაღებებში მონაწილეობდა და კინოშიც იღებდნენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ასტროპროგნოზი
## 13 იანვრისათვის



**ვერძი** – ეს დღე თამამად მიუძღვენით სიყვარულს, ოჯახს. ახალი ნაცნობობა, სავარაუდოდ, მჭიდრო ურთიერთობაში გადაიზრდება. **კურო** – შესაფერისი პერიოდია ყოფითი პრობლემების მოსაგვარებლად, სარემონტო და სამშენებლო სამუშაოების დასაწყებად. **ტყუპები** – ბედი შანსს გაძლევთ, მატერიალური მდგომარეობა გაიუმჯობესოთ, ახალი, უფრო მაღალშემოსავლიანი სამსახური იშოვოთ. **კირჩხიბი** – სიფრთხილე დაიცავით, რათა მოულოდნელად კონფლიქტის ეპიცენტრში არ აღმოჩნდეთ. ნუ დაგეგმავთ შეხვედრას ახლო მეგობრებთან. **ლომი** – მოულოდნელი შეხვედრა ან ახალი ინფორმაცია ცოტა აგაფორიაქებთ. რომანტიკული გატაცება ხანმოკლე იქნება. **ქალწული** – მამაკაცებში ნერვული დაძაბულობა და გადაღლა სტრესს გამოიწვევს. ჯანმრთელობაზე იზრუნეთ. **სასწორი** – საქმიანი აქტივობა შესუსტებულია. საღამოს ჰარმონიის მისაღწევად დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ. **ღრიანკალი** – დღის დევიზია სიყვარული, სიმშვიდე და თანხმობა. ადრინდელი ნეგატიური განწყობა უკვალოდ ქრება. **მშვილდოსანი** – კეთილისმყოფელი დღეა მომავლის დასაგეგმად, ახალი იდეების შესამუშავებლად და განსახორციელებლად. პლანეტები გმფარველობენ. **თხის რქა** – ფინანსური საქმიანობისათვის შესაფერისი პერიოდი არ არის. მოსალოდნელია უთანხმოება ხელმძღვანელობასთან. **მერწყული** – თქვენს ფინანსურ საქმეებში ნურავის ჩარევთ. იფრთხილეთ, ფულს ნუ გაასესხებთ. **თევზები** – კონფლიქტური დღეა. მოგიწევთ, ნერვები მოთოკოთ და გაუაზრებელი გადაწყვეტილების მიღებისგან თავი შეიკავოთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. ყავის მარცვლებსა და ჩაის ფოთლებში არსებული ალკალოიდი; 2. თურქეთის ფეხბურთელთა გუნდი; 3. გრძელბეწვიანი მონადირე ძაღლის ჯიში 4. პირველი ამერიკელი ასტრონავტი; 5. თავლია ღუმელი მწვადის შესაწვავად; 9. შაქრის ლერწმის საჩეხი გრძელი დანა; 11. კარაქის შესადღვები მარტივი ხის მოგრძო ჭურჭელი; 12. აკაკი წერეთლის ლექსი; 14. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 18. პორტატული გეოდეზიური ხელსაწყო; 19. რხევათა სიხშირის საზომი ერთეული ფიზიკაში.

**თარაზულად**: 4. კურორტი საფრანგეთის ალპებში, სადაც ჩატარდა ზამთრის პირველი ოლიმპიადა 1924 წელს; 5. მეცნიერების, ხელოვნების მდიდარი მფარველი; 6. ერთ-ერთი პირველი კინოთეატრი თბილისში; 7. ინგლისის თემთა პალატის თავმჯდომარის სახელწოდება; 8. ნაკურთხი წყალი; 10. ჩინური ფინიკი; 13. შვედი ინჟინერ-გამომგონებელი, მრეწველი, საერთაშორისო პრემიის დამფუძნებელი; 15. ძველებური ქართული ხალხური ცხენოსნური თამაში; 16. ტერიტორიული ერთეული შვედეთში; 17. მდინარის ქვიანი ნაპირი; 20. იზოლირებული ელექტროსადენი; 21. ღვთისმშობლის სახელწოდება კათოლიკეებში; 22. ძველებური სასუნთქი თამბაქო; 23. პაუზა მუსიკალურ მელოდიაში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ძოწი; 2. ვოლვო; 3. ისინდი; 5. ასაჰი; 6. გლიპტიკა; 8. სოლისიტორი; 10. ანანასი; 12. ამსტელი; 14. ვალიზა; 15. სამაია; 16. სეიკო.

**თარაზულად:** 1. ძეწკვი; 4. პალანგა; 7. დილანი; 9. დარიკო; 11. პლატინა; 12. აკაპულკო; 13. ანკესი; 17. პლაზმა; 18. გომი; 19. ალპინიადა; 20. რიგოლეტო.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბაკარდი; 2. ბორისპოლი; 3. ციხეგოჯი; 4. არიფანა; 5. კახასა; 9. პასივი; 11. კორნეტი; 12. კოდორი; 14. ნიორაძე; 18. ალუჩა; 19. ზუთხი.

**თარაზულად:** 4. არმანი; 5. კაბოშონი; 6. ნიკეა; 7. ჟინვალი; 8. პიკაპი; 10. სეიკო; 13. დინასი; 15. პრესტო; 16. ჯუნო; 17. ქამა; 20. რებუსი; 21. ბინომი; 22. ვაჩნაძე; 23. ხარება.

# დღის კალენდარი

## 13 იანვარი



**წლის მე-13 დღე, ახალ წლამდე დარჩა 352 დღე.**

### საეკლესიო კალენდარი

მართლისა იოსებ დამწმინდელისა. დავით მეფისა ფსალმუნთა მთქმელისა, და მოციქულისა იაკობისა, ძმისა უფლისა. ხსენება ღირსი მელანია რომაელისა (429); ღირსი საბიანასი, სამცხის დედათა მონასტრის წინამძღვრისა.

### დაიბადნენ:

1622 – ჟან ბატისტ მოლიერი, დიდი ფრანგი დრამატურგი და მსახიობი.

1815 – ლავრენტი არდაზიანი, მწერალი. გარდაიცვალა 1870 წელს.

1862 – ალექსანდრე ფრონელი (ყიფშიძე), ისტორიკოსი, პუბლიცისტი, გარდაიცვალა 1918 წელს.

1864 – ვილჰელმ ვინი, გერმანელი ფიზიკოსი. გარდაიცვალა 1928 წელს.

1872 – ნინო ნაკაშიძე, მწერალი და საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1963 წელს.

1899 – ლევ კულეშოვი, რუსული კინოხელოვნების თეორეტიკოსი და ნოვატორი. გარდაიცვალა 1970 წელს.

1909 – სიმონ ვირსალაძე, თეატრის მხატვარი.

1917 – ილია ლიფშიცი, რუსი ფიზიკოსი, მყარი სხეულების ფიზიკის სამეცნიერო სკოლის დამაარსებელი. გარდაიცვალა 1982 წელს.

1929 – ვილი სიორენსენი, დანიელი მწერალი, ფილოსოფოსი.

### გარდაიცვალნენ:

86 წელი ჩვ.წ-მდე – გაიუს მარიუსი, რომის კონსული და მხედართმთავარი.

1599 – ედმონდ სპენსერი, ინგლისელი პოეტი.

1906 – ალექსანდრ პოპოვი, რუსი ფიზიკოსი და ელექტროტექნიკოსი.

1909 – ივან ზაბელინი, რუსი ისტორიკოსი და არქეოლოგი, სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის დამაარსებელი.

1941 – ჯეიმს ჯოისი, ირლანდიელი მწერალი.

1978 – ჰუბერტ ჰამფრი, ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწე.

1987 – იგორ ილინსკი, ცნობილი რუსი მსახიობი.

1987 – ანატოლი ეფროსი, რუსეთის თეატრალური რეჟისორი.

### მოვლენები:

1610 წელი – გალილეო გალილეიმ აღმოაჩინა იუპიტერის მეოთხე თანამგზავრი, რომელსაც კალისტო უწოდა.

1703 წელი – მოსკოვში რეგულარულად დაიწყო გამოსვლა პირველმა რუსულმა ბეჭდვითმა გაზეთმა „ვედომოსტიმ“.

1721 წელი – რუსეთში პეტრე I-ის ბრძანებულებით გაიხსნა საზღვაო აკადემიის სტამბა.

1830 წელი – პეტერბურგში დელვიგის რედაქტორობით გამოდის „ლიტერატურნაია გაზეტას“ პირველი ნომერი.

1910 წელი – ოპერა პირველად გადაიცა რადიოთი – ნიუ იორკის ოპერის თეატრის სცენაზე მღეროდა ენრიკო კარუზო.

1940 წელი – დამთავრდა არქტიკის ყინულებში ყინულმჭრელი გემის „გეორგი სედოვის“ 812-დღიანი დრეიფი. ეკიპაჟის 15 წევრი საბჭოთა კავშირის გმირი გახდა.

1958 წელი – ცნობილმა ამერიკელმა მეცნიერმა ლაინუს პოლინგმა გაეროს გადასცა მსოფლიოს 43 ქვეყნის 9.000 მეცნიერის მიერ ხელმოწერილი პეტიცია ბირთვული იარაღის აკრძალვის შესახებ.

1991 წელი – ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში საბჭოთა ჯარებმა დაიკავეს ტელეცენტრი, დაიღუპა 14 ადამიანი.

1993 წელი – პარიზში 130 ქვეყნის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს კონვენციას ქიმიური იარაღის დამუშავების, წარმოების, დაგროვებისა და გამოყენების აკრძალვის შესახებ.

### ღირსსახსოვარი დღეები:

ლიტვა – თავისუფლების დამცველთა დღე.

*მედიანიუსი*

# ხატია ბუნიათიშვილი კანში დაუკრავს



ქართველი პიანისტი ხატია ბუნიათიშვილი კანში 13 იანვარს დასთან, გვანცა ბუნიათიშვილთან ერთად კონცერტს გამართავს.

უცხოეთში პოპულარული და წარმატებული ხატია უცხოელი მსმენელისთვის მოცარტისა და ბეთჰოვენის ნაწარმოებებს კანის ორკესტრთან ერთად შეასრულებს, სადირიჟორო პულტთან კი მაესტრო ბენჟამინ ლევი იდგება.

ხატია საფრანგეთში ცხოვრობს და კონცერტებს მთელ მსოფლიოში მართავს. ის წამყვან ორკესტრებთან და უმაღლესი დონის დირიჟორებთან უკრავს. ქართველ პიანისტზე გადაცემებს ამზადებენ მსოფლიოს წამყვანი ტელეკომპანიები. მას იწვევენ ყველაზე რეიტინგულ გადაცემებში და მისი ინტერვიუები იბეჭდება ყველაზე მაღალტირაჟიან ჟურნალებსა და გაზეთებში.

# გურამ საღარაძე 88 წლის გახდებოდა



ქართული თეატრისა და კინოს გამორჩეული ქართველი მსახიობი გურამ საღარაძე 88 წლის გახდებოდა. მისი დაბადების დღე ოჯახის წევრებმა დიდუბის პანთეონში, ხელოვანის საფლავზე შეკრებით აღნიშნეს.

გურამ საღარაძემ მთელი თავისი ცხოვრება რუსთაველის თეატრში იმუშავა. მხატვრული კითხვის ოსტატმა არაერთი ახალგაზრდა აზიარა პოეზიის სიღრმისეულად აღქმას.

არაერთი ჯილდოსა თუ პრემიის მფლობელისთვის უმთავრესი საჩუქარი ერთგული მაყურებლის სიყვარული იყო, რომელიც მას არასოდეს აკლდა. რუსთაველის თეატრის წინ მის იუბილესთან დაკავშირებით სახელობითი ვარსკვლავი საზეიმოდ გაიხსნა.

გურამ საღარაძე 84 წლის ასაკში გარდაიცვალა. მან უკანასკნელი დაბადების დღე რუსთაველის თეატრის სცენაზე სპექტაკლ „მოხუც ჯამბაზებში“ მონაწილეობით აღნიშნა, რამდენიმე დღეში კი საკუთარ სახლში აღესრულა. ხელოვანი დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს.

ქართული პოეზიისა და პროზის მხატვრული კითხვის ოსტატის 85 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოიცა აუდიო და ვიდეო ჩანაწერების დიდი ალბომი, რომლის მომზადება ჯერ კიდევ სიცოცხლეში თავად გურამ საღარაძეს ჰქონდა დაწყებული.

მან არაერთი ჩანაწერი გააკეთა გარდაცვალებამდე სულ რამდენიმე თვით ადრე. ალბომში თავმოყრილია გურამ საღარაძის სხვადასხვა დროს წაკითხული ქართული პროზისა და პოეზიის მარგალიტები და უნიკალური ვიდეოჩანაწერები მისი შემოქმედებიდან.

# ვასო ფხაკაძე მეორე გოგოს მამა გახდება



„კომედის შოუს“ მსახიობი ვასო ფხაკაძე მეორე გოგონას მამა გახდება.

ეს სასიამოვნო ინფორმაცია იუმორისტის მეუღლემ, მოდელმა ლიკუნა მეტრეველმა გაავრცელა და ბევრი საუკეთესო სურვილი და მილოცვაც მიიღო.

ვასო ფხაკაძე და ლიკუნა მეტრეველი სამი წლის წინ დაქორწინდნენ. წყვილს ერთი გოგონა ნინა ჰყავს, რომელიც თებერვალში 2 წლის გახდება.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# პლასტიკური ქირურგიის მოყვარულმა წონაში დუნდულების გასაზრდელად მოიმატა



ბრაზილიელმა როდრიგო ალვესმა, რომელმაც პლასტიკურ ქირურგიაზე 368 ათასი ფუნტი სტერლინგი დახარჯა, წონაში 12 კილოგრამი მოიმატა და ეს იმისთვის გააკეთა, რომ საკმარისი ცხიმი დააგროვოს დუნდულებზე გადასანერგად.

რამდენიმე თვის განმავლობაში ბრაზილიელი დღეში მინიმუმ 3 ათას კილოკალორიას იღებდა. შედეგად, წელისა და ზურგის არეში, ასევე თეძოებზე ლიტრ-ნახევრამდე ცხიმი დაუგროვდა. მორიგი პლასტიკური ოპერაციის დროს ექიმებმა ეს ცხიმი გამოიყენეს და მამაკაცს დუნდულები გაუდიდეს.

33 წლის ბრაზილიელი შედეგით კმაყოფილია.

– მე ბრაზილიაში დავიბადე, მაგრამ არასოდეს მქონია ბრაზილიური უკანალი, – განაცხადა როდრიგომ, – ახლა კი მაქვს.

2004 წლიდან მოყოლებული, ბრაზილიელმა 48 პლასტიკური ოპერაცია გადაიტანა, გაიკეთა ლიპოსაქცია და ბოტოქსის ინექცია.

# ქალმა სინგაპურის აეროპორტში რვა წელი იცხოვრა

ქალმა სინგაპურის საერთაშორისო აეროპორტში რვა წელი იცხოვრა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

განსხვავებით მეზობლებისგან, რომლებიც ასევე მთელ დროს აეროპორტის მოსაცდელ დარბაზში ატარებენ და რომლებიც იქ იმის გამო აღმოჩნდნენ, რომ საცხოვრებელი ადგილის ან საბუთების პრობლემები აქვთ, ქალს ქალაქის მეზობელ რაიონში სამოთახიანი ბინა აქვს.

2008 წლის ფინანსური კრიზისის შემდეგ მას ფინანსური პრობლემები შეექმნა და ამიტომ გადაწყვიტა, რთული დღეები აეროპორტში გაეტარებინა, თუმცა საბოლოოდ იქ მრავალი წლით დარჩა, საკუთარი ბინა კი იჯარით გააქირავა.

ის შეეჩვია აეროპორტის პირობებს. მოსაცდელ დარბაზებში ყოველთვის მუშაობს კონდიციონერები, არის ფუდ-კორტი და სუპერმარკეტები, შეიძლება საშხაპითა და უფასო ვაი-ფაით სარგებლობა. ის ბინის გაყიდვას გეგმავს, თუმცა აეროპორტის დატოვებას ჯერ არ აპირებს.

მის გარდა, სინგაპურის საერთაშორისო აეროპორტში 10-მდე ადამიანი მუდმივად ცხოვრობს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

## ამირან ქარდავას გახსენება



ძალიან მალე გაიარა ორმოცმა დღემ, ჩვენ გვერდით რომ აღარ ხარ.

სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ისტორიის მასწავლებლად შენს მერხეულის საშუალო სკოლას მიაშურე და მასწავლებლად მუშაობდი, გულრიფშის რაიონის ინსპექტორად, შემდეგ სოფელ მერხეულის სოფლსაბჭოს თავმჯდომარედ, ბოლოს – მერხეულის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ და ისტორიის მასწავლებლად.

სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, რაიონისა და ქალაქის საზოგადოება, მოსწავლეები და მშობლები დიდი სიმპათიითა და კეთილგანწყობით იყვნენ შენ მიმართ.

დაგრჩა მეუღლე, შვილები, რომლებსაც დღემდე არ შეშრობიათ მწუხარების ცრემლები.

ნათელი დაადგეს შენს საფლავს!

*შენი ოჯახი – ანვარა, პაატა და ირაკლი ქარდავები*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.**

# პროგრამა

## პარასკევი 13 იანვარი

**07.00** დოკ/ფ "ადამიანის ბუნება" **08.00** "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **08.30** დ/სერ. "ჯეიმი ოლივერის კერძები 30 წუთში" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**კედრის ყურე**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** დოკ/ფ "შობაზე შეყვარებულები" **15.00** "X სტუდია" **16.30** "ეკონომეტრი" **17.00** დოკ/სერ. "მორგან ფრიმანთან ერთად" **21.00** ტ/სერ. "**შურისძიება**" **22.00** "ეპოქა" **22.45** "წლის საუკეთესო..." **00.20** მხ/ფ "**ჩემი მშვენიერი ლედი**" (ო.ჰეპბერნი) **03.10** მხ/ფ "**შობა ბორკილებით**"

**08.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი წინასწარი შეკვეთის გარეშე" **09.00** დ/ფ "ლანსის ლუვრი" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** დ/ფ "რომაული ელეგანტურობა" **11.05** მხ/ფ "**ჯონი ინგლიში**" **12.30** დ/ფ "დიზაინი" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი წინასწარი შეკვეთის გარეშე" **15.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" (მიმდინარე დღის) **17.00** დ/ფ "ჰოლივუდი" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** საახალწლო შეხვედრები პოლიტიკოსებთან **22.30** ქართ. მხ/ფ "**სერენადა**" **23.00** "მოამბე" (**3** ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო" **01.00** მხ/ფ "**ჟამე" ილოცე" შეიყვარე**"

**06.30, 16.00** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" **11.20** სერ. "**გონული**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35** სერ. "**პატარძალი**" **18.50, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** სუხიშვილები – **70 00.00 2017** წლის "ოქროს გლობუსის" **74**-ე დაჯილდოების ცერემონია **02.15** მხ/ფ "**ძიძა**" **04.00** მხ/ფ "**წარმოიდგინე**"

**06.00** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45, 19.55, 20.05** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **18.50** სერ. "**ოქროს გალია**" **20.50** ლოტო **22.00** კომედი კონცერტი - **2017 23.30** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **49** (სეზ.**10**) კონცერტი "ანიტა რაჭველიშვილი" - **2015** დამთავრებისას მხ/ფ მხ/ფ კურიერის დაიჯესტი მხ/ფ

**08.00** ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" **09.00, 19.00** სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" **10.00, 18.00** სერ. "**სკანდალი**" **11.00** სერ. "**კერძო პრაქტიკა**" **13.00** სერ. "**ჩიკაგოს მეხანძრეები**" **15.00** გვიანი შუადღე **17.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **20.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.30** მხ/ფ "**საარჩევნო კამპანია**" **22.00** სერ. "**მოტივი**" **23.00** სერ. "**როგორ ავიცილოთ სასჯელი მკვლელობისთვის**" **00.00** მხ/ფ "**25-ე საათი**" **02.30** მხ/ფ "**ეშმაკის ადვოკატი**" **05.10** მხ/ფ "**ნიქსონი**"

**06.15** კვირიაკე **07.20** დ/ფ "ველური ბუნება" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.25** წმინდანები "წმინდა შუშანიკ დედოფალი" **10.35** მხ/ფ "**მხიარული რომანი**" **12.10** პორტრეტები **13.15** ერთხელ ბავშვობაში **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** გამოყენებითი ხელოვნება "ქვილთი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ან/ფ **15.30** ბიბლია ბავშვებისთვის **15.40** დ/ფ "იერუსალიმი" **16.10** კონცერტი **17.00** მიწათმოქმედი "ვაზი" **17.30** ჩვენი საგანძური **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**რაჭა ჩემი სიყვარული**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** ქვიშით ამღერებული პოეზია **21.15** დროის ჩანაწერები **22.00** სიახლენი **22.25** მოგზაურობა სამშობლოში "თრიალეთი-ერანთურანს რა გვინდოდა**ჰ!**" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დეკორატიული ფლორა **00.35** მგზავრები წუთისოფლისა "საგარეჯო, კაკაბეთი" **01.00** სათავეებთან-"ანტონ კათალიკოსი" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.50** "ქვიშის ზღაპარი" **8.00** სერ. "**კარმელიტა**" **9.00** სერ. "**ქალბატონი**" **10.00** სერ. "**ორი გული**" **11.00** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 15.30** სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.00** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.50** სერ. "**მორიგე ექიმი**" **19.55** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.55** სერ. "**მიცანი, თუ შეძლებ**" **21.55** სერ. "**პაემანი**" **22.40** სერ. "**მაესტროს ექსკლუზივი**" **1.00** მხ/ფ "**თოვლის დედოფალი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**13 იანვრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.7395 |
| ევრო | 2.882 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.3225 |
| 100 რუსული რუბლი | 4.5544 |




## ამინდის პროგნოზი 13 იანვრისთვის


## 10 იანვრიდან

### მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები




**ვიქტორ ჰიუგო**

**პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

## 17 იანვრიდან

**რევაზ მიშველაძე**

### ციყვი ბორბალში




რევაზ მიშველაძის ამ ახალ რომანში აღწერილია სააკაშვილის ათწლეულის საქართველოს ცხოვრება და ნაწარმოების ცენტრშიც, ბუნებრივია, თვით მიხეილ სააკაშვილი დგას. ნაჩვენებია, თუ როგორ კამათლებივით აგორავებდა თავგასული ხელისუფალი უბრალო მოქალაქის ბედს.

რომანი წარდგენილია ნობელის პრემიაზე.

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**


## იუმორი



ერთი მეგობარი მეორეს შესჩივის:

– ძალიან ცუდ განწყობაზე ვარ და არ ვიცი, როგორ მოვიქცე.

– თეატრში წადი.

– რა, განწყობას გამომიკეთებს?

– შეიძლება განწყობა ვერ გამოგიკეთოს, მაგრამ ის მაინც გექნება სათქმელად, რომ თეატრში იყავი.

●●●

ბიჭი გოგოს ეუბნება:

– მოდი, გავიცნოთ ერთმანეთი.

– არა.

– რატომ?

– სპორტული შარვალი გაცვიათ.

– რა პრობლემაა, შენც გიყიდი.

●●●

ბავშვი უყურებს თუ როგორ ლებავს მამა სახლში ჭერს. დედა ეუბნება:

– უყურე, შვილო, უყურე, ისწავლე და რომ გაიზრდები, მამას მიეხმარები.

– რა, მამა მანამდე ვერ მორჩება ლებვას?

●●●

მასწავლებელი სვამს კითხვას:

– აბა ვინ მიპასუხებს, რა დროა: „მე ვეძებ საქმროს“?

– დაკარგული, მასწავლებელო, – პასუხობს გიგი.

●●●

კაცი სამსახურში ჩალურჯებული თვალით მივიდა. თანამშრომელი ეკითხება:

– რა დაგემართა?

– ცოლმა ჩამარტყა.

– რისთვის?

– შენობით მივმართე.

– მაგისთვის ვის სცემენ, მომიყევი, როგორ იყო საქმე.

– ვწევართ მე და ჩემი ცოლი. ის მეუბნება: „რაღაც დიდი ხანია ჩვენ სექსი აღარ გვქონია“. მე კი ვუპასუხე – „ჩვენ კი არა, შენ...“

●●●

მჭედელს გავარვარებული ცხენის ნალი მაშებით უჭირავს. მისი შემყურე ცხენის პატრონი ეუბნება:

– ღმერთო, როგორი გავარვარებულია!

– არც ისე, თუ გინდა, ათლარიანი მომეცი და ენით ავლოკავ.

– რას ამბობთ, ენა არ გენანებათ?

– რახან არ გინდა?

– კარგი, – უპასუხა ცხენის პატრონმა და ათლარიანი მიაწოდა.

მჭედელმა ენა აუსვა და ჯიბეში ჩაიდო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.



## 12 იანვრიდან




### კულინარია ჰობად

ამ წიგნში მოცემულია როგორც კარგად ცნობილი, ასევე უცნობი რეცეპტები, რომელთა მომზადებასაც სახლის პირობებში თითოეული თქვენგანი ძალიან მარტივად შეძლებს.

**ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი**


## ფიროსმანის „სვირი“ აღდგენილია



ნიკო ფიროსმანაშვილის სურათი „სვირი“ აღდგენილია.

რესტავრირებული ნახატის პრეზენტაცია 13 იანვარს საქართველოს ეროვნული მუზეუმის დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში გაიმართება.

დამთვალიერებელს შესაძლებლობა ექნება, 39 წლის შემდეგ პირველად იხილოს სურათი „სვირი“. ნიკო ფიროსმანაშვილის ნამუშევარი მუზეუმმა 1930 წელს შეიძინა. მანამდე „სვირი“ მწერლისა და პოეტის გიორგი ლეონიძის საკუთრება იყო. 1930 წლიდან დღემდე ის სულ სამჯერ გამოიფინა – 1957 წელს, 1968 წელს და 1978 წელს. ამის შემდეგ, მძიმე დაზიანებების გამო, ნამუშევარი ფართო საზოგადოებას აღარ უნახავს.

ეროვნული მუზეუმის რესტავრატორმა ნანა მანაგაძემ სურათს ხანგრძლივი სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარა. რესტავრაციის ურთულესი პროცესის დასრულების შემდეგ „სვირი“ პირველად იფინება დამთვალიერებელთათვის.

ნიკო ფიროსმანაშვილის აღნიშნულ სურათთან ერთად, მუდმივ ექსპოზიციაში ჩაერთვება მხატვრის კიდევ ორი ნამუშევარი, „ნადირობა ინდოეთში“ და „დათვი მთვარიან ღამეს“.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ამერიკელმა მილზე მიყინული ბელურა გადაარჩინა

ამერიკის აიდაჰოს შტატის მცხოვრებმა გადაარჩინა ბელურა, რომელიც თათებით მისი სახლის აივნის ლითონის მილზე მიეყინა. მომხდარის ვიდეოჩანაწერი ნელსონ უილსონმა იუთუბის არხზე განათავსა და ის რამდენიმე დღეში მილიონზე მეტმა ადამიანმა ნახა.

როგორც ვიდეორგოლისთვის თანდართულ კომენტარშია აღნიშნული, მამაკაცმა მილზე მიყინული ფრინველი შემთხვევით შენიშნა. ვიდეოჩანაწერში ჩანს, რომ მან ბელურა მუჭში მოიქცია, გარკვეული



დროის განმავლობაში ფეხებზე სულს უბერავდა და ასე მოახერხა მისი ყინულის ტყვეობიდან გათავისუფლება, ხოლო როგორც კი მუჭა გაშალა, ბელურა გაფრინდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ბრედ პიტი და ანჯელინა ჯოლი განქორწინების საბუთებს არ გაასაჯაროებენ

მსახიობებმა ანჯელინა ჯოლიმ და ბრედ პიტმა განქორწინების პროცესის დაწყების შემდეგ პირველი ერთობლივი განცხადება გააკეთეს.

ჯოლი დათანხმდა პიტის მოთხოვნას, შეეწყვიტა იმ ინფორმაციის გავრცელება, რომელიც მათ ბავშვებსა და მათზე მზრუნველობის საკითხებს შეეხებოდა.

– მხარეებმა და მათმა ადვოკატებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას მათი ბავშვებისა და ოჯახის პირადი ცხოვრების საიდუმლოდ შენახვის თაობაზე, – ნათქვამია ერთობლივ განცხადებაში.

მსახიობები შეთანხმდნენ, რომ უარს იტყვიან ასევე ნებისმიერი სასამართლო საბუთის გასაჯაროებაზე. გარდა ამისა, ამიერიდან ყველა იურიდიული საკითხი, რომლებიც განქორწინე-



ბის პროცესის დროს წამოიჭრება, კონფიდენციალურად მომრიგებელი მოსამართლის დახმარებით იქნება გადაწყვეტილი.

## ჩიხუახუამ 500-ფუნტიანი საყურე გადაყლაპა



შოტლანდიის ქალაქ დანდიში მცხოვრები სტილისტის ჩიხუახუას ჯიშის ძაღლმა ბრილიანტისთვლიანი საყურე გადაყლაპა, რომლის ღირებულება 500 ფუნტ სტერლინგს შეადგენს.

როდესაც კლიენტმა დანაკარგი შენიშნა, სტილისტმა მთელი სახლი გადაჩხრიკა, მაგრამ ვერაფერს მიაგნო. ამის შემდეგ ეჭვი ძაღლზე მიიტანეს. ის ვეტერინარს გაასინჯეს, რომელმაც დაადასტურა, რომ ძვირფასეულობა ცხოველს ჰქონდა კუჭში.

ჩიხუახუას პირღებინების საშუალება მისცეს, მაგრამ ამან შედეგი არ გამოიღო. მომდევნო ორი დღის განმავლობაში სტილისტი იძულებული იყო, გულდასმით შეემოწმებინა ძაღლის ექსკრემენტები და საბოლოოდ ძვირფასეულობა იპოვეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. აბრეშუმის ჭია; 2. გადახურული სავაჭრო მოედანი ძველ თბილისში; 3. ტვირთის შესანახი სათავსო გემზე; 5. ღვინის სასმისი; 6. კინოსა და თეატრის ცნობილი ქართველი მსახიობი ქალი; 8. პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ჭიდაობაში; 10. სწრაფმავალი, ერთადგილიანი, მოტორიანი სპორტული ნავი; 12. პროვინციის მმართველი სპარსეთში, რომელიც განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდა; 14. ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 15. უბანი თბილისში; 16. უდანაშაულობის დამამტკიცებელი საბუთი.

**თარაზულად**: 1. სულელი, ჩერჩეტი ადამიანი; 4. ცხვრის ტყავისაგან შეკერილი ზედა მოსაცმელი; 7. მთიბავთა შრომის სიმღერა ფშავხევსურეთში; 9. მექსიკის დედაქალაქი; 11. ერთ-ერთი კონტინენტი; 12. პატარა ქირურგიული დანა; 13. კომბინაცია პოკერში; 17. თანამედროვე ქართველი მოქანდაკე; 18. ბალტიისა და ჩრდილოეთის ზღვების დამაკავშირებელი ხელოვნური არხი გერმანიაში; 19. მომავლის რწმენა; 20. აეროპორტი ბუდაპეშტში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

